გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№99 (855) 27 - 29 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


# მხოლოდ 40 თეთრი

## 27 სექტემბერი. 1993-2013

## „სკლეროტიკი“ საზოგადოება და გაფლანგული 20 წელი

**„არაა გამორიცხული, ფეხით დავბრუნდე აფხაზეთში და ამის გამო, მოღალატეს ნურავინ დამიძახებს!“**

რას გეგმავენ დევნილები სოხუმის დაცემის 20 წლისთავზე

**ადა მარშანია: „ჩვენ არ ვართ აფხაზეთში დაბრუნების ღირსნი, რადგან აფხაზეთისთვის არ ვიბრძვით!“**

## „პირდაპირ გეტყვით, ჟიული შარტავა სოხუმის მოედანზე არ დაუხვრეტიათ!“

ბაკურ გულუა ჟიული შარტავასა და მამია ადასანიას დახვრეტის სკანდალურ ფაქტს ახმაურებს და ეროვნული გმირის ცხედრის სოხუმიდან თბილისში გადმოსვენების დეტალებს იხსენებს

**ჟიული სოხუმის მოედანზე არ დაუხვრეტიათ. ჟიული შარტავა ცოცხალი, საღ-სალამათი მიიყვანეს უშიშროებაში 27 სექტემბერს, საღამოს. იყო დაცული და გადარჩენილი. გადაიყვანეს გუდაუთაში, რომ მეორე დილით ადლერიდან გამოფრენილიყო.**

## შალვა ფიფია: „აგროპროდუქტების ფასები არ გაიზრდება!“

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან გვ. 4

## ამერიკელი კონგრესმენი ქეი გრეინჯერი 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ რეალობას აფასებს

გვ. 2

## ბრაზილიური ბარკლების ქართული სერიალი ანუ როგორ ემზადება რემი ბიწაძე ძველი „დიდების“ დასაბრუნებლად

გვ. 8

## საცხოვრებელ კომპლექსში „m² იპოდრომთან“ უკვე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

დეველოპერული კომპანიის ცნობილ საცხოვრებელ კომპლექსში ბინების 76% გაყიდულია გვ. 12


m²
იპოდრომთან

# „საქართველო გვევლინება, როგორც თავისუფლების შუქურა მსოფლიოს ერთ-ერთ პრობლემატურ და არადემოკრატიულ რეგიონში“

## ამერიკელი კონგრესმენი ქეი გრეინჯერი 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ რეალობას აფასებს

**წინასაარჩევნო პერიოდი ვნებათაღელვით გამოირჩეოდა, დებატები ორ ყველაზე დიდ პარტიას შორის მწვავე იყო, თუმცა საბოლოოდ, განხორციელდა ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, პირველად საქართველოს ისტორიაში. საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანაა, მაგრამ მისი სიჯანსაღე უკვე დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია“,** — აცხადებს ამერიკელი კონგრესმენი. ამ განწყობისა და შეფასების საფუძველი კი, ცხადია, ის გახლავთ, რომ ქრონიკული რევოლუციების ქარ-ცეცხლში მყოფ ქვეყანაში, ხელისუფლება არჩევნების გზით, მშვიდობიანად შეიცვალა და პოსტსაარჩევნო პერიოდიც, უკვე ახალი ხელისუფლების დამსახურებით, ქართული პოლიტიკისთვის უჩვეულოდ მშვიდი იყო. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის ქეი გრეინჯერის კიდევ ერთი შეფასება: **„საქართველო გვევლინება, როგორც თავისუფლების შუქურა მსოფლიოს ერთ-ერთ პრობლემატურ და არადემოკრატიულ რეგიონში. საქართველოს წარმატება ცალსახად ითხოვს ამერიკისა და ჩვენი დემოკრატიული მოკავშირეების მხარდაჭერას“.**

სხვათა შორის, ქეი გრეინჯერი, როგორც სახელმწიფო, საგარეო და შესაბამისი პროექტების ხარჯების განკარგვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, თანამშრომლობდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდსა და სხვა დემოკრატიულ, სამოქალაქო საზოგადოებისა და არჩევნების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა კი, უდიდესი წვლილი შეიტანა იმ დადებით მოვლენებში, რომელთა მოწმენიც გავხდით წინასაარჩევნო პროცესში საქართველოში, ასევე დემოკრატიული ტრანზიციის პროცესებში იორდანიაში, ტუნისსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

რაში გამოიხატება ამერიკის მხარდაჭერა და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოში დემოკრატია აყვავდეს? ქეი გრეინჯერის თქმით, **„უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანებს ექნებათ არჩევანის თავისუფლება; უნდა უზრუნველვყოთ მედიასაშუალებების მიერ ამომრჩეველთათვის მიწოდებული ინფორმაციის მიუკერძოებლობა და თავისუფლება პოლიტიკური პროპაგანდისგან; უნდა გავაძლიეროთ გენდერული თანასწორობა და არასაკმარისი წარმომადგენლობითობის მქონე ჯგუფები, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა გავააქტიუროთ სამოქალაქო განათლების პროცესი, უზრუნველვყოთ საჯარო სფეროს ანგარიშვალდებულება, არჩევნებში დაინტერესებულ მხარეებს მივაწოდოთ შესაბამისი განათლება/ტრენინგი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განვამტკიცოთ ჩვენი ერთგულება დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებებისადმი“,** — ამერიკელი კონგრესმენის ეს მოსაზრება, ფაქტობრივად, „რეცეპტია“ ნებისმიერი ხელისუფლისთვის. მთავარია, ვინ იხელმძღვანელებს მისით და ვინ — არა. პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხშირად იმეორებს, რომ მისი გუნდისთვის მთავარი ფასეულობა ადამიანი, მისი უფლებები და მისი თავისუფლებაა; სამოქალაქო განათლების პროცესის გაძლიერებასა და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცების აუცილებლობაზეც აქცენტი მუდმივად კეთდება. ამ ფონზე, ძნელი მისახვედრი, ალბათ, აღარავისთვის უნდა იყოს, უქმნის თუ არა საფრთხეს ქართულ დემოკრატიას „ქართული ოცნება“.

*„ვერსიანიუსი“*

## ბიძინა ივანიშვილი: „ირაკლი ღარიბაშვილმა 10 თვეში საოცრება მოახდინა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, 25 სექტემბერს, პოლიტიკურ ექსპერტებს შეხვდა. დებატები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, რასაც მთელი საქართველო პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს. ექსპერტებისა და პრემიერის შეხვედრა საზოგადოებამ არაერთგვაროვნად შეაფასა, თუმცა პოლიტიკური ექსპერტების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეფასდა შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობა.

**„დღეს მხოლოდ ღარიბაშვილის დამსახურებაა ის, რომ პოლიცია მუშაობს ნორმალურად. ღარიბაშვილი რომ წავიდეს, პოლიცია გააკეთებს იმას, რასაც აკეთებდა მანამდე“,** — განაცხადა კახი კახიშვილმა, რომელსაც საკმაოდ მწვავე კრიტიკული შენიშვნები ჰქონდა ხელისუფლებასთან. შეხვედრაზე ყველაზე მეტად „დაზარალებულმა“ მამუკა არეშიძემ კი განაცხადა: **„ირაკლი ღარიბაშვილი ზუსტად იმ კატეგორიას განეკუთვნება, თავის საქმეს გადასარევად რომ ართმევს თავს“.** ეს რეპლიკები მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ **„პოლიცია გვყავს თითქმის კარგი, თუ ძალიან კარგი არა, შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა თითქმის საოცრება მოახდინა“,** რაზეც რამაზ საყვარელიძემ უპასუხა: **„თქვენ ბრძანეთ, რომ სასწაული მოახდინა მინისტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროში, გეთანხმებით, მეც არ ველოდი იმ პოლიციას, რაც მივიღეთ ნამდვილად. პირველი პირი არის მნიშვნელოვანი“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, 10 თვის განმავლობაში უწყებაში საოცრება მოახდინა ის, რის შედეგადაც, საზოგადოებამ, ტოტალურად მოძალადე პოლიციისგან, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიცია მიიღო.

**„პოლიციას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა თითქმის საოცრება მოახდინა. თუ შევადარებთ დღევანდელ ქართულ პოლიციას გერმანულს ან რომელიმე დასავლური ქვეყნის პოლიციას, რა თქმა უნდა, განსხვავება შეიძლება დავინახოთ, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო 10 თვის განმავლობაში საოცრება მოხდა. შეიძლება ჩვენ გვინდოდეს რომის პაპზე მეტი კათოლიკეები ვიყოთ და ისეთი პოლიცია მოვინდომოთ, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო იქნება, მაგრამ იდეალური პოლიცია არსად არსებობს.**

**საოცრებაა ის, რომ იმ პოლიციისგან, რომელიც არათუ იცავდა საკუთარ მოქალაქეებს, არამედ მათზე ძალადობდა და ხშირ შემთხვევაში, პოლიციისგან სადამსჯელო ზონდერბრიგადები იქმნებოდა, დღეს მივიღეთ პოლიცია, რომელიც თავის საქმეს ადამიანის უფლებათა მაქსიმალური დაცვით აკეთებს. ასევე, იკლო კრიმინალის რიცხვმა. რომ გვაყვედრიდნენ, ქვეყანაში კრიმინალი აღარ არისო, ნახეთ სტატისტიკა, როგორ იკლო დანაშაულების რიცხვმა, ხოლო მან, ვისაც ამ სტატისტიკის არ სჯერა, საკუთარი სტატისტიკა წარმოადგინოს. ჩვენ საკუთარ ხალხზე ტოტალურად მოძალადე პოლიციისგან, ძალიან მაგარი პოლიცია მივიღეთ, გასაგებია, რომ უკეთესი გვინდა, მაგრამ ჩვენ არსებული რეალობიდან სასწაული მოვახდინეთ, პოლიციის სისტემაში სასწაული მოხდა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## აფხაზი სეპარატისტები „გამარჯვების დღის“ აღნიშვნისთვის ემზადებიან

აფხაზი სეპარატისტები ე.წ. გამარჯვების დღის აღსანიშნავად საგანგებოდ ემზადებიან. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ალექსანდრე ანქვაბმა ე.წ. გამარჯვების დღის 20-წლისთავის ღონისძიებებისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი თათბირი ჩაატარა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.

გარდა ე.წ. საზეიმო აღლუმისა და სხვადასხვა ღონისძიებებისა, რომლებშიც რუსული საოკუპაციო არმიის ნაწილები მიიღებენ მონაწილეობას, ამ დღეს სოხუმში სტუმარ დელეგაციებსაც ელიან. აფხაზური მედიის ინფორმაციით, **„გამარჯვების დღის აღსანიშნავად სოხუმში ელიან დელეგაციებს — რუსეთის ფედერაციიდან, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან, ასევე სამხრეთ ოსეთიდან, დნესტრისპირეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## „რუსეთს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, კავკასიიდან ჯარების გაყვანა და რეგიონის დატოვება მოუწევს“

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე რუსეთის საოკუპაციო ჯარებთან დაკავშირებით განაცხადა, **„ზუსტად ასევე ცდილობდნენ პოლონეთის სახელმწიფოს შესუსტებას საუკუნეების განმავლობაში, ზუსტად ასევე აიღეს მე-20 საუკუნის ძალიან ბევრი ქვეყანა შიდა დივერსიების, პროვოკაციების, ყველანაირი მეთოდების გამოყენების გზით, ამიტომ ის, რაც საქართველოში ახლა ხდება, საერთოდ არ არის ახალი. საქართველოს აქვს გამოცდილება ბევრ დამპყრობელთან, მაგრამ რუსეთთან ჩვენ მთელი ამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ქრესტომათიულად უნდა მიგვეღო გამოცდილება, რა ტიპის ძალასთან გვაქვს საქმე. ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მათ მოუხდებათ ჯარების გაყვანა მთელი კავკასიიდან და მათ მოუხდებათ ამ რეგიონის დატოვება. ეს პრინციპში, აბსოლუტური გარდაუვალობაა უახლოეს წლებში“.**

*„პირველი“*

## 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა — ომი გრძელდება

# „სკლეროზიკი“ საზოგადოება და გაფლანგული 20 წელი

რეზო შატაკიშვილი

**ზუსტად 20 წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან. ხშირად ვამბობთ, რომ აფხაზეთი ჩვენი ღია ჭრილობაა, მოუშუშებელი... მაგრამ ვცრუობთ, ვთვალთმაქცობთ და ამ თვალთმაქცობაში გადის დრო. ზუსტად 20 წლის წინ, ბაგრამიანის ბატალიონი ქართველებს ჟლეტდა, ფანჯრებიდან ყრიდა, დაჭრილებს პირში მიწას ტენიდა — ხომ გინდოდათ აფხაზეთის მიწა, ჰოდა, ჭამეთო. ეს მხოლოდ ერთადერთი ეპიზოდია იმ საშინელების, რომელიც დღეს ცალყბად გვაღელვებს. მიწის ჭამასაც შევეგუეთ და იმასაც, რომ ეს მიწა ჩვენი აღარაა და ვეღარც ვიბრუნებთ. უბრალოდ, კვლავ თვალთმაქცობას ვაგრძელებთ და დეკლარირებასღა ვერიდებით. დრო, მართლაც, ყველაფრის მკურნალი ყოფილა. და ეს ტენდენცია, განსაკუთრებით, ბოლო წლებში ხდება თვალშისაცემი.**

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებში, 2010 წელს ტერიტორიული მთლიანობა ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად მიაჩნდა გამოკითხულთა 45%-ს (?!), მომდევნო, 2011 წელს ამ ადამიანთა რაოდენობა შემცირდა 38%-მდე, სამაგიეროდ, თუ 2010 წელს ფასების ზრდა გამოკითხულთა 18%-ს მიაჩნდა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, 2011 წელს მათი რიცხვი 39%-მდე გაიზარდა, თუ 2010 წელს 59% ფიქრობდა, რომ დასაქმებაა მთავარი, 2011 წელს უკვე 81%-ს მიაჩნდა დასაქმება მთავარ პრობლემად. ასე გადაინაცვლა მესამე ადგილზე ტერიტორიულმა მთლიანობამ. 2012 წლის მარტში გამოქვეყნებულ კვლევებში კი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას 36% ასახელებდა მთავარ პრობლემად და ეს მაჩვენებელი წარმოადგენდა უმნიშვნელოდ გაზრდილს, წინა წლის სექტემბრის კვლევასთან შედარებით. ენდიაის ბოლო კვლევებში ტერიტორიული მთლიანობა 35%-სღა აღელვებს. ამ ციფრებზე მეტად საგანგაშოა ის, რომ დევნილები აფხაზეთში დაბრუნებას კი არა, აქ ბინით დაკმაყოფილებას, ფართის დაკანონებასა და შემწეობების გაზრდას ითხოვენ, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთში დაბრუნების იმედი მკვდარია. არაერთი ემიგრანტის თავგადასავალში ფიგურირებს ყველაზე ემოციური დეტალი – ამოულაგებელი ჩემოდანი, როგორც სიმბოლო მოლოდინის, სამშობლოში დაბრუნების მუდმივი მზადყოფნისა. სამწუხაროდ, ახლა ჩემოდანი კაი ხნის ამოლაგებულია, ეს ფიგურალურად, თორემ აფხაზეთიდან დევნილებს ჩემოდნების წამოღებაც არავინ აცალა, ისე გაუყენეს გოლგოთადაქცეულ ჭუბერის გზას!

დრო მიდის, თბილისში, საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გაიზარდნენ დევნილები, რომლებსაც, ასაკის გამო, ძნელადღა ახსოვთ აფხაზეთი, აქ დაიბადნენ თაობები, რომლებსაც სოხუმი და გაგრა არც უნახავთ, ნელ-ნელა თბილისურ მიწას ებარებიან გაგრელები, სოხუმელები, ოჩამჩირელები, ვისთვისაც სიცოცხლეზე ძვირფასი იყო აფხაზეთის მიწა. თაობების ცვლა კი ბუნებრივად ანელებს ტკივილს... ეს პროცესი კი კიდევ უფრო გვაშორებს მიზანთან – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა. და კიდევ, როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს თავისი ცვეთის კოეფიციენტი, მათ შორის უკიდურესად მნიშვნელოვან პრობლემებსაც. ადამიანი შემგუებელი არსებაა, ეს ჰეგელმა თქვა, თუმცა, როგორც ჩანს, მაინც ვერ ეგუება დიდხანს პრობლემას, რომელსაც ვერ ჭრის და თავიდან იცილებს. ან როგორ უნდა გადაჭრილიყო, როცა ეს 20 წელიწადი ფუჭად გავფლანგეთ, ხან დამნაშავის ძიებაში, ხანაც იაფფასიანი ღირებულებების გაკერპებაში. იმთავითვე, ძალიან კარგად ვიცოდით, რომ აფხაზებთან კი არა, რუსეთთან წავაგეთ ომი, რომ იმ აფხაზი სეპარატისტების უკან კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი იდგა... მეტიც, უკან კი არა – მათ გვერდით, მაგრამ ამის თქმას წლების მანძილზე გაურბოდა მაშინდელი ქართული პოლიტელიტა. ერთადერთი, ვინც ამას გამუდმებით იმეორებდა – თამაზ ნადარეიშვილი იყო, რომელიც თავისი ამ განცხადებებით პრობლემებს უქმნიდა რუსეთთან შეხმატკბილებულ შევარდნაძეს. ის თამაზ ნადარეიშვილი, რომელიც „ავადმყოფობის გამო“, თანამდებობას ჩამოაცილეს 1993 წლის ივლისში და 27 ივლისს, სოჭში შეთანხმებაც დადეს ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ. გამოიყვანეს კიდეც ტექნიკა და დამთავრდა კიდეც გადამწყვეტი ბრძოლა სოხუმის დაცემით... შევარდნაძე მოატყუეს? შევარდნაძე მაკარი არ იყო, რომელსაც ატყუებენ, რომ მისი ქარვასლა იწვის და ისიც იჯერებს, მას ისტორიამ თეთრი მელა უწოდა. თეთრი მელები არ ტყუვდებიან, ისინი თავს იტყუებენ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა აწყობთ. წლები გაიფლანგა უშედეგო მოლაპარაკებებში, ხან თავს ვიდანაშაულებდით, ხან ვის ვადანაშაულებდით, ვითომცდა, აფხაზებთან საერთო ენის გამოსანახად, შესარიგებლად. უნიჭოდ ვპოზირებდით ისტორიის წინაშე და იმდენი ვიპოზირეთ, დაგვავიწყდა კიდეც, ვინ დაკარგა აფხაზეთი. აგვისტოს ომის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეს — აფხაზეთი დაკარგაო. პოლიტიკურ ოპონენტებს აწყობდათ და გასაგებია, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილსაც რომ ასე მიაჩნდა? რა დაგვემართა, ტყუილ-მართალში ისე აგვეგლისა ტვინი, 1993 წლის ამბები 2008 წელს გადმოვიტანეთ? კი, კოდორი დაიკარგა, ის კოდორი, სადაც სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებამ აღადგინა საქართველოს იურისდიქცია, მაგრამ დანარჩენი აფხაზეთი დაკარგული არ იყო? ან ქვეყნისთვის აქვს მნიშვნელობა, ვინ დაკარგა, როცა დასაბრუნებელია?

ეს 20 წელი სავსე იყო პარადოქსებით, ამ პარადოქსებიდან კი საგულისხმო იყო და არის ერთი, ყოველ არჩევნებზე რომ იჩენს ხოლმე თავს – დევნილები, წესისამებრ, ხმას აძლევენ იმას, ვინც ხელისუფლებაშია. მეტი პარადოქსი რა გინდა? ვისმა უუნარობამაც დევნილად გაქცია, მას აძლევ ხმას?! ვისმა უუნარობამაც ვერ დაგაბრუნა მშობლიურ ქალაქში, იმას აძლევ? ეს ასეა და ასე იყო ყველა არჩევნებზე. აქ დრო და იმის უბადლო დასტაქრობა არაფერ შუაშია. და საერთოდ, მოდი, ყველაფერს დროს ნუ დავაბრალებთ და ის დროც გავიხსენოთ, 90-იანი წლები, როდესაც თბილისელების უდიდეს ნაწილს აფხაზეთის დაკარგვაზე მეტად ის ადარდებდა – სასტუმრო „ივერიის“ იერი რომ წახდა, ქალაქი რომ დევნილებით გაივსო, დიახ, რუსთაველის პროსპექტის აივნებზე გაფენილი დევნილთა ტრუსები უფრო უშლიდა ნერვებს, ვიდრე აფხაზეთის თავზე მოფრიალე მტრის დროშა. ეს თქვენი მულტიკულტურული თბილისი უფრო ანტაგონისტურად იყო განწყობილი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მიმართ, მათ რბილი „ლ“ უფრო უშლიდა ნერვებს, ვიდრე ათასი სხვა ეროვნების ადამიანი. მეტიც, თბილისი გაცილებით ნერვაუტოკებლად შეხვდა შემდეგ წლებში ჩინელებს, ინდოელებს, აფროამერიკელებს... რა ვიცი, ვიღას არა, ემანდ, ვინმე არ გამომრჩეს და არასტუმართმოყვარეობაში არ ჩამეთვალოსო, ვიდრე საკუთარ სისხლსა და ხორცს.

ისიც გავიხსენოთ, სოხუმის დაცემიდან რამდენიმე თვეში, როგორც დავაყენეთ ეჭვქვეშ აფხაზეთში ნაომარი ბიჭების გმირობა, როგორც გამოვაცხადეთ სამშობლოს გულანთებული დამცველები ყაჩაღებად და მამაძაღლებად და მათი უმეტესობა ციხეებში ჩავყარეთ. მერე, როცა საომარი იყო, ის ხალხი, ვისაც იარაღის ხელში აღება ევალებოდა ან საზღვარგარეთ იყო, ან აქ, თბილისში, სამშობლოს დასაცავად არ წავიდა და მერე თავისი „ქვეშაჯვიობა“ ამით გაამართლა. და რაც მთავარია, ამას ხელი შეუწყო იმავე სახელმწიფომ, იმავე ხელისუფლებამ, ვისაც ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ევალებოდა. თუმცა რა გვიკვირს, ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომლის „წარჩინებულნიც“ საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებენ ომის დაწყებაში, ბრძოლის ველზე დაღუპული ბიჭების გმირობას სიბრიყვესთან აიგივებენ – აქაოდა, იმთავითვე წაგებული ომი იყოო. დღეს ქვეყნის პრეზიდენტობისთვისაც იბრძვის ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც განვლილ წლებზე საკუთარი პასუხისმგებლობის გარდა, ისიც კი ავიწყდება, რომ რიგითი მეომარი იბრძვის, სამშობლოს იცავს, მეომარი არ განსაზღვრავს სტრატეგიას, ვერ ჭვრეტს, ომი წაგებულია იმთავითვე თუ გაიმარჯვებს და რომც იცოდეს, წააგებს, მაინც იბრძვის – სამასმა არაგველმაც იცოდა, რომ წაგებულ ომში ერთვებოდა, მაგრამ სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს და მათი გმირობა არავის დაუყენებია ეჭვქვეშ, მეტიც, ისტორიამ გმირებად შერაცხა და მემორიალიც დაუდგა სწორედ სამას არაგველს და არა 300 ტომარა ფქვილს.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# მიხეილ სააკაშვილი: „მე სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ყველა შეცდომაზე!“

მიხეილ სააკაშვილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე პრეზიდენტის რანგში უკანასკნელად გამოვიდა და საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და კავკასიის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა.

**„ჩვენს რეგიონში ევროკავშირისა და ნატო-ს მიერ, რომელიც ჩვენი ხალხის ნებაზე დაფუძნებული, მიღწეული წინსვლის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო ინტენსიური ხდება, რასაც საკუთარი სახელიც აქვს — ევრაზიული კავშირი. ცუდად მხდის, როდესაც კაგებეს ოფიცერი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს უკითხავს ლექციას თავისუფლებაზე, ღირებულებებსა და დემოკრატიაზე. ამის გაკეთება სწორედ რომ არ შეუძლია მას, როგორც უკანასკნელი იმპერიის დიქტატორ ლიდერს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ **„ევრაზიული კავშირი შეიქმნა როგორც ევროპის კავშირის ალტერნატივა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი საკუთარი პრეზიდენტობის მთავარ პროექტად განიხილავს“.**

სააკაშვილის თქმით, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას დიდი დრო და უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება. არადა, ბოლო თვეების განმავლობაში კიევში, თბილისსა თუ კიშინიოვში მოსკოვში დაწერილი ერთი და იგივე მახინჯი ჰანგები გვესმის. **„გვესმის, თითქოს, ჩვენი ტრადიციები იმსხვრევა დასავლეთის გავლენის გამო; რომ**

**ეკლესიები გადაიქცევა დისნეილენდებად და ქრისტიანულ დღესასწაულებს გეიპარადებით ჩაანაცვლებენ; რომ ჩვენი მართლმადიდებლური იდენტობა საფრთხეშია“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა და იკითხა: **„ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილონი ვართ, რომ დავიჯეროთ ეს ტყუილები, როგორც წინა თაობები იჯერებდნენ და საშუალება მივცეთ მოსკოვს, გაიტაცოს ჩვენი სუვერენიტეტი? ნუთუ შეგვიძლია, ასე, უსამართლონი ვიყოთ ჩვენს წინაპრების მიმართ და ვიფიქროთ, რომ მათ პატივი მიეგებათ იმ შემთხვევაში, თუ თავს დავესხმებით რომელიმე მეჩეთს? ნუთუ ასე არ ვიცნობთ საკუთარ ისტორიას, რომ დავუშვათ მისი უსასრულოდ გამეორება? როცა ვისმენთ რუსი იმპერიალისტების მიერ ნამღერ მართლმადიდებლური ძმობის ყალბ მუსიკას, რატომ არ შეგვიძლია, გავიგონოთ მათ მიერვე მოკლული პატრიარქ კირიონისა თუ ნაწამები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ხმები? ის მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ ჟენევის კონფერენციას მიმართა და საკუთარ ქვეყანაში დამპყრობლების შეჭრა გააპროტესტა. დაკითხვისას კი ეს სიტყვები წარმოთქვა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლოს, გვამი კი თქვენთვის დამითმია, ჯალათებო!“**

პრეზიდენტის პროგნოზით, დღეს ვერც ერთი იმპერია ვერ იარსებებს, მით უმეტეს, რუსული — **„რამდენიმე წელიწადში ვლადიმერ პუტინი აღარ იქნება არც კრემლში და არც რუსულ პოლიტიკაში... მთავარი კი სხვა რამ არის: რუსეთი აღარ იქნება იმპერია და იგი გადაიქცევა ნორმალურ სახელმწიფოდ და ეს ის პერსპექტივაა, რომლისთვისაც ყველა ერთად უნდა მოვემზადოთ“.**

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას რუსეთის დელეგაციის პროტესტი მოჰყვა. დელეგატებმა დარბაზი მას შემდეგ დატოვეს, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინი და მისი პოლიტიკა გააკრიტიკა. აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი კი გაერო-ში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას ბათუმიდან გამოეხმაურა და განაცხადა: **„ეს იყო ძლიერი გამოსვლა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო პრეზიდენტის შეშფოთებამ საზღვრების გავლების მიმდინარე პროცესზე, რასაც ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება მყარად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ვიმედოვნებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში შესაძლებელი იქნება გონივრული გამოსავალი მოინახოს ამ მდგომარეობიდან. მივაქციე ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან დეტალს ყურადღება. პრეზიდენტმა მისი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე ისაუბრა და მათზე სრული პასუხისმგებლობა იკისრა. ვფიქრობ, სახელმწიფო მოღვაწისგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი განცხადება იყო“.**

*„ვერსიანიუსი“*

# რა აინტერესებდათ ეკონომიკის ექსპერტებს სოფლის მეურნეობის მინისტრისგან და რა ხდება ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდში?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

## შალვა ფიფია: „აგრო-პროდუქტების ფასები არ გაიზრდება!“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკის ექსპერტებთან შეხვედრის დროს აღიარა, რომ ეკონომიკა სუსტი რგოლია. ცხადია, პრემიერ-მინისტრმა კონკრეტული მინისტრები და ცალკეული უწყებები კი არა, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა იგულისხმა, მაგრამ პირველი მინისტრი, ვისთანაც ეკონომიკის ექსპერტებმა შეხვედრა მოითხოვეს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, შალვა ფიფია იყო. ოთხშაბათს, 25 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკის ექსპერტებს ხვდებოდა, პარალელურად, სოფლის მეურნეობის მინისტრს ეკონომიკის ექსპერტები ესტუმრნენ. თითქმის სამსაათიანი შეხვედრა დახურულ კარსმიღმა ჩატარდა, რომელსაც შალვა ფიფიას გარდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც ესწრებოდნენ. რა თქმა უნდა, ერთ წელიწადში ეკონომიკა ვერ აღორძინდება და ამ მხრივ, სასწაულს არავინ ელის, მაგრამ სამწუხაროდ, ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯებიც არ ჩანს. ბოლოს და ბოლოს, სოფლის მეურნეობის ექსმინისტრის, დავით კირვალიძის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ მას შეექმნა და ეგრეთ წოდებულ ტრაქტორების სკანდალშიც გაეხვია, რის გამოც თანამდებობა დატოვა... ეკონომიკის ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრთან, შალვა ფიფიასთან ექსკლუზიური ინტერვიუ „ვერსიამ“ სწორედ ამ თემით დაიწყო. თავდაპირველად, იმით დავინტერესდით, რა ხდება ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდში?**

— რაც შეეხება ეკონომიკის აღმავლობას, ფაქტია, რომ ზრდა გვაქვს, მაგრამ საზოგადოების მოლოდინთან შედარებით, ეს ზრდა მცირეა. ეკონომიკა, ესაა მეცნიერება მოლოდინის შესახებ. ზოგადად, ეკონომიკაში პოზიტიურ ტენდენციებს აშკარად ვხედავ. მართალია, უმნიშვნელო ზრდა გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ბიზნესი თავისუფალია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ წელს რთველს კუდ-ი არ ატარებს!

**— ბატონო შალვა, რთველი აქტუალური თემაა და ამაზე მოგვიანებით გკითხავთ, მაგრამ ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ, „ვერსიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ექსპერტებთან შეხვედრისას, არ „დაგინდობდათ“. როგორ ჩაიარა შეხვედრამ, რა აინტერესებდათ ეკონომიკის ექსპერტებს?**

— როგორც იცით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო შევქმენით, რომელიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს ახორციელებს, ექსპერტებიც ამით დაინტერესდნენ. ჩვენც დეტალურად გავაცანით ამ პროექტის კონცეფცია და მიღწეული შედეგები. კარგი, კონსტრუქციული შეხვედრა იყო, სადაც სხვადასხვა პრობლემაზე ვისაუბრეთ. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი თავიდანვე გათვლილი იყო მომგებიან, მდგრად ბიზნესზე, რაც ჩვეულებრივი ამბავია. რადგან არაქმედითუნარიანი ან „შავ სიაში“ მყოფი ბიზნესმენები თუ ფერმერები სესხს ნამდვილად ვერ მიიღებდნენ. მესმის, საზოგადოების მხრიდან მაღალი მოლოდინი იყო, ისიც მესმის, რომ ვინც კრედიტი ვერ მიიღო, გაგვინაწყენდა, მაგრამ ამავდროულად, დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ 6 თვეში, 131 000 000 ლარზე მეტი კრედიტი გავეცით, რაც დაგეგმილზე სამჯერ მეტია. ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი და კარგი შედეგია. რაც მთავარია, საკმაოდ დიდი ხანს ვმუშაობდით კომერციულ ბანკებთან, პროექტის მზადება შარშან ნოემბერში, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყეთ და დაახლოებით, ხუთი თვე დაგვჭირდა, რათა დეტალები ყველა მხარესთან შეგვეთანხმებინა. ყველა წამყვანი კომერციული ბანკი მონაწილეობს ამ პროექტში, რადგან მათთვის ეს არის კრედიტუნარიანი, მიმზიდველი პროექტი და ამიტომ ბანკები ადვილად დაგვთანხმდნენ.

**— ცალკეული ექსპერტების შენიშვნები სოფლის მეურნეობის ბარათებს უკავშირდება და მთავარი პრობლემაც ეს არის, რადგან კარგად გვახსოვს ნაციონალური მოძრაობის ვაუჩერები. ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ ექსპერტები თქვენი ბარათების არაეფექტურობაზე ბევრს საუბრობენ, როგორ გგონიათ, რატომ?**

— მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამა სრულიად განსხვავებულია ნაციონალური მოძრაობის ვაუჩერებისგან, მაგრამ ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ეს პროექტი არაეფექტური იყო. საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა ფერმერებისა და გლეხებისთვის, რომლებიც 9 წლის განმავლობაში მიტოვებულები იყვნენ. როგორც იცით, რეგიონებში ცხოვრების დონე დაბალია, ამ პროექტით კი იმედი მივეცით გლეხებს, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს და ეხმარება. როგორც კი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდება, ამ პროექტის ეკონომიკურ ეფექტსაც მაშინ დაინახავთ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხოლოდ პროექტის ფარგლებში, უფრო მეტი მიწა დამუშავდა, ვიდრე 2012 წელს. ამ მიწებზე გლეხები მოსავალს მოიმკიან, რომლის თვითღირებულება მცირე იქნება იმის გამო, რომ მათ სახელმწიფო დაეხმარა და ხარჯების სუბსიდირება განახორციელა. აქედან გამომდინარე, გლეხებს საშუალება ექნებათ, საკმაოდ კონკურენტუნარიან ფასში განახორციელონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზება.

**— პრობლემა სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, „ტრაქტორების საქმე“ ხომ მცირემიწიანი ფართობების დამუშავებას უკავშირდება და სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— ჩემი პირადი პოზიცია უკვე დავაფიქსირე, როდესაც ვთქვი, რომ განსაკუთრებული არაფერია... რამდენიმე დღეში, ამ საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართება, დაველოდოთ ამ პროცესს და გთხოვთ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

**— როგორ მიმდინარეობს რთველი, რომელიც ყოველთვის დიდი პრობლემა იყო?**

— საბედნიეროდ, რთველი პრობლემა აღარ არის, ეს არის პროცესი, რომელიც საკმაოდ კარგად მიმდინარეობს. წლევანდელი რთველი პოლიტიკური აღარ არის და ბევრი ფაქტორის გამო, წინა წლებისგან სრულიად განსხვავდება. მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ მეღვინეებს, ღვინის კომპანიებს შეღავათიანი აგროსაკრედიტო პირობები შევთავაზეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურძნის შესასყიდად, კომპანიებს საშუალება მიეცათ, კომერციული ბანკებისგან, წლიური 6%-დან 15%-მდე ფარგლებში, სესხი მიიღონ. სახელმწიფომ რბილი ჩარევის შედეგად, ყურძენზე მოთხოვნის სტიმულირება განახორციელა, რასაც ხელი ღვინის ექსპორტის ზრდამაც შეუწყო და ეს მხოლოდ რუსეთის ბაზარს არ ეხება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სუბსიდირების ფორმატი შევცვალეთ, წინა წლებში, ვაუჩერიზაციის გზით, პირდაპირი სუბსიდირება ხდებოდა, მაგრამ წელს ასე არ არის. გლეხები ტექნიკურ პრობლემებს ავარიდეთ, რადგან ვაუჩერების გასანაღდებლად, მათ ხშირად უწევდათ ბანკის რიგში დგომა. ამ ფორმატით, კონკრეტული ქარხნების მიერ მიღებული ყურძნის რაოდენობის, ჯიშის დასახელების მიხედვით, ელექტრონულ ფორმატში სრულ აღრიცხვას ვაწარმოებთ, რაც სიახლეა. შედეგად, რთვლის დასრულებისთანავე, სრული ინფორმაცია გვექნება, თუ რომელმა კომპანიამ, რა რაოდენობისა და რა სახეობის ყურძენი ჩაიბარა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ წინა წლებში, სახელმწიფო ბაზრის ძირითადი მოთამაშე იყო. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორი კომპანია, ყურძნის ძირითადი შემსყიდველი იყო ანუ ისინი შემოვიდნენ ბაზარზე, უხეშად დაადგინეს ყურძნის ფასი და პროდუქციის 64% შეისყიდეს. წელს ასე არ არის, სახელმწიფო ძირითადი მოთამაშე აღარაა, თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ სახელმწიფო იყიდის მხოლოდ ისეთ ყურძენს, რომელიც ინდუსტრიისთვის საინტერესო არ იქნება. მევენახეებს კი სუბსიდირების ისეთი ფორმა შევთავაზეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხარისხიან ყურძენში 1 ლარს ან 1 ლარზე მეტს გადაიხდიან, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ. ეს ვრცელდება ყურძნის სამ ჯიშზე, „რქაწითელზე“, „საფერავსა“ და „კახურ მწვანეზე“. მეტიც, წელს ყურძნის ძალიან კარგი მოსავალი გვაქვს, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ რაოდენობის მიხედვით კი არა, ხარისხითაც. ეს იმიტომ, რომ საგაზაფხულო პროგრამა ეფექტური გამოდგა, რადგან ყველას ჰქონდა საშუალება, შეეძინა სასუქი და მცენარეთა დაცვის პრეპარატები, რასაც შედეგი მოჰყვა.

**— ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ წლის ბოლომდე 100 გადამამუშავებელ საწარმოს გახსნის, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი და მათ შორის, ექსპერტებიც ეჭვის თვალით უყურებენ. ეს დაპირება ვერ შეასრულეთ?**

— ექსპერტებს ამაზეც ვესაუბრე და თქვენც გეტყვით, რომ აგროსაკრედიტო პროექტის მესამე და მეოთხე კომპონენტი, მოიცავს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას 7 წლამდე ვადით, არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში. დღევანდელი მდგომარეობით, ჯამში, 221 პროექტი დაფინანსდა, მათ შორის 51 ახალი პროექტია ანუ 100 გადამამუშავებელი საწარმოდან 51 უკვე დავაფინანსეთ. ესაა თანამედროვე ტიპის მესაქონლეობის, მეფრინველეობის ფერმები, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები, თხილის, სოიოს, ყველის გადამამუშავებელი საწარმოები, სიმინდის თესლის საშრობი და საცავი.

**— სურსათის ხარისხის კონტროლიც სერიოზული პრობლემაა, ადგილობრივი ბაზარი იმდენად უკონტროლოა, რომ მომხმარებელმა არ იცის, რას მიირთმევს. რას აკეთებთ ამ მიმართულებით?**

— 2012 ნოემბრიდან, 2013 წლის აგვისტოს ჩათვლით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სამჯერ მეტი ინსპექტირება განახორციელა, ვიდრე 2010-2012 წლებში. საკმაოდ კარგად ვმუშაობთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან ერთად, რათა საზღვარზე უხარისხო პროდუქცია გავანადგუროთ. ამ მიმართულებით უფრო მეტად გავაქტიურდებით, რადგან საბაჟოზე 60 ინსპექტორის დამატებას ვაპირებთ, რომლებიც პროდუქციის ხარისხს გააკონტროლებენ. გეთანხმებით, პროდუქცია, რომელსაც მოვიხმართ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და უსაფრთხო უნდა იყოს. ჩვენ უკვე მივიღეთ დადგენილება ეკო-წარმოების შესახებ, შესაბამისად, სტანდარტიც განვსაზღვრეთ, თუ რას ნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მკაცრად განვსაზღვრეთ ეტიკეტირების წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ კვების პროდუქტებზე სპეციალური წარწერა იქნება, შეიცავს თუ არა გენმოდიფიცირებულ საკვებ დანამატებს. ნებისმიერ მომხმარებელს აქვს სრული უფლება იცოდეს, რას მოიხმარს და ეს დადგენილება 2014 წლის 1 ნოემბრიდან შევა ძალაში. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ლიბერალური არგუმენტით, საბაჟოზე 7 წუთში შემოწმების ტენდენცია დაამკვიდრა. ლიბერალიზმის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ როდესაც საკვებ პროდუქტებზე ვსაუბრობთ, ეს არგუმენტი არაფერს ნიშნავს. პირადად მე, მირჩევნია, 7 წუთის ნაცვლად, საკვები პროდუქტების შემოწმებას თუნდაც 1 დღე დასჭირდეს, სამაგიეროდ, ხარისხიანი პროდუქცია შემოვიდეს. ამ მიმართულებით ვმუშაობთ და იცით, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის უხარისხო პროდუქცია გავანადგურეთ, როგორც საზღვრებზე, ისე — ქვეყნის შიგნით.

**— ბატონო შალვა, იმპორტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ რა უბედურებაა, თურქული კარტოფილი და პომიდორი, ეგვიპტური ხახვი, ან შუა აზიური ნიორი? ამ პროდუქტების წარმოება ჩვენც ხომ შეგვიძლია, თანაც ქართული კარტოფილი, ხახვი და ნიორი გაცილებით გემრიელი და ხარისხიანი არ არის?**

— გასაგებია, მაგრამ ბოლო 9 წლის სტატისტიკას თუ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი მკვეთრად მცირდება. წლის ბოლოს, როდესაც შემაჯამებელი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდება, დარწმუნდებით, რომ ადგილობრივი პროდუქციის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა. ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ, მაგრამ ერთი რამ თქვენც გაითვალისწინეთ, სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს დრო სჭირდება. ჩემი აზრით, ბოლო 9 თვეში უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე წინა ხელისუფლებამ 9 წლის მანძილზე გააკეთა.

**— საკუთარი თვალით ვხედავ 10-15 თეთრით გაძვირებულ პროდუქტებს, არ ვიცი, კონკრეტულად, ვისი ბრალია, მწარმოებლების თუ სუპერმარკეტების მფლობელების, მაგრამ ცალკეული ექსპერტები ინფლაციის საშიშროებას პროგნოზირებენ. რამდენად საშიშია ეს პროცესი და საერთოდ, წლის ბოლოს რა გველის, ფასები გაძვირდება?**

— სტატისტიკური მონაცემებით, ფასების ზრდა არ შეინიშნება, ბოლო მონაცემებით, დეფლაცია ანუ ფასების უმნიშვნელო შემცირება დაფიქსირდა, მაგრამ მცირე ინფლაცია ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისთვის კარგია. ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებში საშიში პროდუქციის მაღალი ფასი კი არ არის, მთავარია, მოსახლეობის შემოსავალი იყოს ამ ფასების ადეკვატური. ამდენად, დიდ რისკებს ვერ ვხედავ, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ დამუშავებული მიწის ფართობები მნიშვნელოვნად გაორმაგებულია, პროდუქციის თვითღირებულება დაბალია და შესაბამისად, აგრო-პროდუქტებზე ფასების ზრდა მოსალოდნელი არ არის!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# ადა მარშანია: „ჩვენ არ ვართ აფხაზეთში დაბრუნების ღირსნი, რადგან აფხაზეთისთვის არ ვიბრძვით!“

**27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 20 წელი გავიდა! აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, სამი დღით ადრე, 24 სექტემბერს აფხაზეთის მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვახტანგ ყოლბაიას წარდგენილ კანდიდატებს უმრავლესობამ, ორი დეპუტატის გამოკლებით, ნდობა გამოუცხადა, თუმცა კაბინეტის დამტკიცებას უხმაუროდ არ ჩაუვლია. „ვერსია“ დევნილების მიერ ორგანიზებული ორსაათიანი საპროტესტო აქციის მომსწრეც გახდა. 20-მდე ადამიანი, მთავრობის დამტკიცების პარალელურად, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოს წევრებთან შეხვედრას ითხოვდა და აცხადებდა, რომ არც ძველი და არც არსებული მთავრობა მათ ინტერესებს არ გამოხატავს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დევნილებმა საბჭოს ულტიმატუმი წაუყენეს — 5 წუთში თუ არ შეგვხვდებით, თავად შემოვიჭრებით კაბინეტებშიო. მუქარა მუქარად დარჩა. 1 საათში ვახტანგ ყოლბაია აქციის მონაწილეებთან გავიდა და კაბინეტში დევნილების სამ წარმომადგენელს უხმო. „ვერსია“ ამ საკითხზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, პარტია საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტსაბჭოს წევრს ადა მარშანიას ესაუბრა.**

— მთავრობის ახალი შემადგენლობის მიმართ ნაკლები პრეტენზია გვქონდა, განსხვავებით თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიასგან. იგი სამართლებრივ-პოლიტიკურად უკანონოდ დანიშნეს, რაშიც დამნაშავეა ცენტრალური ხელისუფლებაც — მაინც ველოდი, რომ ბატონი პრემიერი და ახალი ხელისუფლება შეგვხვდებოდა და აზრს გვკითხავდა. სააკაშვილის დროს ძალაუფლება აყრილი გვქონდა, ბევრი ლეგიტიმური სტრუქტურა უკანონოდ გაუქმდა, ამიტომ 1 ოქტომბრის მერე ვიმედოვნებდით, რომ დაიწყებოდა საუბარი ჩვენს როლზე, საკადრო ცვლილებებზე, გაზრდილ უფლებამოსილებაზე, გასასწორებელ კანონმდებლობაზე... თუმცა მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება — ვიღაცა ვიღაცას შეხვდა, სად და ვის, არ ვიცით, რომელ დერეფანსა თუ კაბინეტში რა და როგორ გადაწყდა, არც ეგ ვიცით. ყველაფერმა აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ ჩაიარა და ფაქტის წინაშე დავდექით — ითქვა, ყოლბაიას კანდიდატურაა წარდგენილ-გადაწყვეტილი, რადგან მხარს ცენტრალური ხელისუფლება უჭერსო. ჩვენ გარღვევას ველოდით, მაგრამ ყველაფერი ძველებურადაა.

**— მინისტრთა ახალი კაბინეტიც ასეა დაკომპლექტებული?**

— ბევრი კანდიდატურა ცუდი არ არის, ბევრი გამოუცდელი, რამდენიმე კი სრულიად მიუღებელია, რაც თავმჯდომარეს ვუთხარით, მაგრამ ამას კიდევ ბევრი უხერხულობა და გაუგებრობა მოჰყვა. ასე თუ ისე, ეს შემადგენლობა დამტკიცდა, თუმცა მას ხმა მე და კიდევ ერთმა ადამიანმა არ მივეცით.

**— პარალელურად, რამდენიმე ათეული დევნილი საპროტესტო აქციას მართავდა და სხდომის ჩაშლითაც იმუქრებოდა, რა უპასუხეთ მათ პრეტენზიებს!**

— დევნილებში უკმაყოფილებაა, მათაც იგივე სურდათ, რაც მე — გარღვევა, ახალი დამოკიდებულების დანახვა, საჯაროობა... როცა ამას კოლეგებს ვეუბნები, მეთანხმებიან, მაგრამ არაფერი იცვლება. საერთოდ ის, რაც დღეს უზენაეს საბჭოში ხდება, საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიკრომოდელია. უკვე აბსოლუტურად მავნებლურად მოღვაწეობს ჩვენი ახალი ხელისუფლებაც, რაც ერთი წლისთავზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ.

**— ცნობილია თქვენი პოზიცია საგარეო საქმეთა და რეინტეგრაციის მინისტრების პოლიტიკასთან მიმართებაში, მაგრამ თავად რას გვთავაზობთ?**

— მაია ფანჯიკიძე ნორმალურ ქვეყანაში კარგა ხანია ამ პოსტზე აღარ იქნებოდა. აი, მან ნება დამრთოს და განცხადებების ტექსტს აფხაზეთის საკითხზე მე დავუწერ! მას ძალიან მძიმე საქმე აბარია: ეს მარტო საგარეო საქმეთა სტრუქტურა კი არა, ქვეყნის კურსის განმსაზღვრელი ორგანოა. იგივე შეიძლება ითქვას პაატა ზაქარეიშვილზე, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მისი პოზიცია და ბევრი განცხადება ჩემთვის მიუღებელია. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ იგი ძალიან შეიცვალა; მეტიც, ბოლო დროს მემალება. ადამიანო, მთელ უზენაეს საბჭოსთან თუ არა, მის ზოგიერთ წევრთან მაინც ხომ უნდა ითანამშრომლო?! იმ ხალხს ხომ უნდა შეხვდე, ვინც ამ კონფლიქტებში სამსახურეობრივად კი არა, გულით, სულით, განვლილი ცხოვრებით, წარსულითაა ჩაბმული! ჩვენ, იქ დაბადებულებს, სრული ინფორმაციაც რომ არ გვქონდეს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, გულისა და სხეულის დონეზე ვგრძნობთ ყველაფერს.

**— ფაქტი ჯიუტია: ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზღვრისპირა სოფლების საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე კონტროლი დავკარგეთ. ამ დროს ჩვენი პოზიციაა, რამდენიმე ათეული მეტრის გამო რუსეთთან კონფლიქტში ხომ არ შევალთო. ეს ნორმალურია?**

— ჯერ ერთი, მართალია, ჩემთვის ნაკლებტრაგიკულია, რომ იმ სოფლებში მთავრობის წევრებს ვერ ვხედავთ, მაგრამ ეს პირდაპირი ღალატია! რაც შეეხება მთავრობის პოზიციას — მაინცდამაინც, კონფლიქტი უნდა გავაჩაღოთ?! მაინტერესებს, რაზე საუბრობს ბატონი აბაშიძე კარასინთან, ეს შეხვედრები რას ემსახურება, მხოლოდ იმას, რომ რუსეთში „ბორჯომი“ შევიდეს?! იცით, რეალური ტრაგედია რა არის — ქვეყანას არ აქვს რეაქცია! დიციდან რეპორტაჟს ვუყურებდი და გული მეხარშებოდა, შეიძლება, მიკროინფარქტიც მივიღე, ისე იმოქმედა იქ შექმნილმა მდგომარეობამ. რუსთაველი, თავისუფლების მოედანი, მთავრობის სახლი, საგარეო საქმეთა სამინისტრო — აქ ხომ მაინც შეგვიძლია ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა?!

**სად ვართ, ხალხო, სად?! უბრალოდ, ქუჩაში გამოვიდეთ მრავლად, მძლავრად, ამას კრემლი და რუსეთი, ბოლო-ბოლო, შენი ხელისუფლება ხომ მაინც დაინახავს? ისინიც გაიგებენ, ვინც ჩვენს საზღვართან დარბიან და დახტიან და რაღაცებს აჭედებენ!**

**— მერედა, თქვენ როგორ ხსნით ამ საზოგადოებრივ გულგრილობას?**

— სულ ამაზე ვფიქრობ და პასუხი ვერაფრით ვიპოვე. როგორ გთხოვოთ და მოგიწოდოთ, აფხაზეთისთვის გავიბრძოლოთ-მეთქი?! ბრძოლაში იარაღის სროლას სულაც არ ვგულისხმობ. უამრავი ფორმა არსებობს... თუმცა უვარგისები, უხერხემლოები ვართ! კიდევ ბევრ საზღვარს გადმოგვიწევენ! არ ვამბობ, რომ გაუაზრებელი, ურაპატრიოტული რეაქციებია საჭირო, მაგრამ ჯანსაღი, ადამიანური და პოლიტიკური რეაქცია ხომ უნდა გვქონდეს?! ხალხს გაპროტესტებისკენ უნდა მოვუწოდოთ — როცა დიცზე, აფხაზეთზეა საუბარი, ფეხზე მთელი თბილისი არ უნდა დადგეს?! ზოგი მეუბნება, ლიდერი არ გვყავსო, ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს, იდეა არ არის, რის გარშემოც შეიძლება შევიკრიბოთო — უკაცრავად, ასეთი კაცი არც პოლიტიკოსია, არც ადამიანი. ჩვენი უპირველესი იდეა ქვეყნის გაერთიანებაა, ამიტომ პასუხს ვერაფერზე გაძლევთ, არ ვიცი, ჩვენს თავს რა ხდება.

**ჩვენ არ ვართ აფხაზეთში დაბრუნების ღირსი, რადგან აფხაზეთისთვის არ ვიბრძვით! რატომ უნდა დავბრუნდეთ იმიტომ, რომ უსამართლოდ გაგვყარეს? კი ბატონო, ასე იყო, მაგრამ რას აკეთებ ამის გამოსასწორებლად?! ზიხარ და ვის ელოდები — ამერიკას, რუსეთს, უკეთეს მთავრობას... და შენ ვინ ხარ, ავეჯი — შემოგიტანონ, როგორც „შკაფი“, დაგდგან და მერე შენ გაცოცხლდე და იცხოვრო, როგორც ადამიანმა?! ჭამო, სვა, დაიძინო, გაიღვიძო?! ახლა აქ როგორ ვცხოვრობთ საერთოდ ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები, ვჭამთ, გვძინავს და მორჩა, ესაა ჩვენი ცხოვრება?! სად გვაქვს იმის თქმის უფლება, რომ ერი და საზოგადოება ვართ!**

**— კარს სოხუმის დაცემის 20 წლისთავი მოგვადგა: აფხაზეთი დამოუკიდებლობას ზეიმობს, საზეიმო მარშში რუსეთის ჯარი მონაწილეობს, ჩვენ კი განსაკუთრებული სამზადისის ნიშანწყალი არ გვეტყობა — ესეც ახალი მიდგომის ნაწილია?**

— არსად ჩანს და არაფერში იგრძნობა, რომ 1993 წლის 27 სექტემბრის, სოხუმის დაცემის შემდეგ ზუსტად 20 წელი გავიდა. ჯერ კიდევ ამ წლის დასაწყისიდან სადაც ხმა მიმიწვდება, ხალხს ყველგან მივმართავ და ვახსენებ, რომ წელს ასეთი მნიშვნელოვანი თარიღი დგება და განსხვავებული რეაქცია უნდა გვქონდეს. რაკი ეს დღე ასეთი მძიმე და ტრაგიკულია, დავივიწყოთ?

**საუბედუროდ, აფხაზეთში ამ დღეს გამარჯვებად აღიქვამენ, საკუთარ სამშობლოზე გამარჯვებას ზეიმობენ! მოვა დრო, როცა ხალხი გაიაზრებს, რომ როგორც ქართველებმა, ისე აფხაზებმა აფხაზეთი დავკარგეთ და აფხაზები იმ მიწაზე, უბრალოდ, ფორმალურად ცხოვრობენ — ეს ამ ორი ხალხის დიდი მარცხია!**

აფხაზეთში ეკონომიკურად, პოლიტიკურად, დემოგრაფიულად, მორალურად, ფსიქოლოგიურად, ადამიანურად უმძიმესი სურათია: მძვინვარებს ნარკომანია, ღვიძლისა და ფილტვის მძიმე დაავადებები, შიდსი, მეტიც — მგონი, ხელს უწყობენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდარე ხარისხის ნარკოტიკი შევიდეს... სანამ არ გავიაზრებთ, რომ აფხაზეთისთვის ბრძოლა ჩვენი საქმეა, მანამ არაფერი შეიცვლება. ყველაფერი ჩვენ უნდა ვითავოთ. მსოფლიომ და პირველ რიგში, აფხაზეთმა უნდა დაინახოს, რომ ჩვენი ხალხი კვლავ მედგრად დგას, ყველაფერი ახსოვს და აფხაზეთისა და მისი მომავლისთვის ბრძოლას აგრძელებს!

**— ცნობილია, რომ 27 სექტემბრის განსაკუთრებულად აღნიშვნას თქვენ აპირებთ.**

**— 27 სექტემბერს, 12 საათზე, თავისუფლების მოედანზე ვიკრიბებით და ფეხით მსვლელობას ომში დაღუპულთა მემორიალთან დავასრულებთ. ეს აქცია კი განსაკუთრებული იმით იქნება, რომ ხელში ჩვენი დაღუპულების სურათები გვეჭირება. არ ვიცი, ამ იდეას ხალხი როგორ მიიღებს. საერთოდ, არც იმის იმედი მაქვს, რომ აქციაზე ბევრი ადამიანი გამოვა...**

ანალიტიკა

# „სკლეროზიკი“ საზოგადოება და გაფლანგული 20 წელი

*მე-3 გვერდიდან*

გვიკვირს, რომ აქამდე ვერ დავიბრუნეთ აფხაზეთი, არადა, გასაკვირი სწორედ ისაა, რომ გვიკვირს. წლები დასჭირდა იმას, რომ ოკუპანტი ოკუპანტად გვეღიარებინა, გვეთქვა, ვინ წაგვართვა მიწა, რომ თავი და თავი რუსეთი იყო და არა მათგან წაქეზებული აფხაზი სეპარატისტები. საამისოდ წლები დაგვჭირდა და ახლა ისევ „ზადნით“ მივდივართ – ეჭვქვეშ ვაყენებთ რუსეთის ოკუპანტობას, ისევ ენის მოჩლექით ვიწყებთ საუბარს, ოღონდაც კი ქართული ღვინო და მინერალური წყალი გავიდეს რუსეთის ბაზრებზე, ოღონდაც კი მოწყალე თვალით გადმოგვხედოს „უფროსმა ძმამ“. მერე რა, რომ ეს უფროსი ძმა მავთულხლართებით მოიწევს და იტაცებს ქართულ მიწებს სამაჩაბლოში... და თურმე ეს იმიტომ, რომ უსაფრთხოდ ჩატარდეს სოჭის ოლიმპიადა, თურმე დიცელები და დვანელები უქმნიან საფრთხეს და საერთოდაც, მშვიდად უნდა ვიყოთ, ვგზავნოთ ნოტები და არ შევიმჩნიოთ, რომ რუსეთი სხვა ნოტებს უკრავს – მეზობელი ტერიტორიების კვლავ და კვლავ მიტაცების მარშისას.

ამ გზით დავიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს? როდესაც გავურბივართ შიშველ სიმართლეს, რომ იმპერიული ზრახვების პირისპირ, მნიშვნელობა არა აქვს, მკვახედ დაელაპარაკები თუ გაუწვები – რუსეთი მაინც მიწების მიტაცებაზე იქნება ორიენტირებული. ახლა თქვენ თუ აფხაზეთის დაბრუნებას იმას უწოდებთ, რომ ჩვენც იქ დავბრუნდებით, სადაც აფხაზეთი და სამაჩაბლოა – ანუ რუსეთის იმპერიის წიაღში, ეს სხვა ამბავია და მაინც, დროა ყველაფრის მკურნალი, თუ ჩვენ ვართ ამნეზიისკენ, სკლეროზისკენ მიდრეკილი საზოგადოება, მოკლე მეხსიერების ერი, რომელიც ასე მალე ივიწყებს ყველაფერს? თუ ასე გაგრძელდა, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც ტაო-კლარჯეთის გვერდით გადაინაცვლებს. გვემახსოვრება, რომ ოდესღაც ჩვენი იყო და ხელი გვექნება ჩაქნეული სამუდამოდ.

## შსს-მ დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული რომან რ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა სენაკში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას, ნაგებობის ჭერში დამალული სამგზავრო ხელჩანთიდან დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ა-კა-ემ“-ის მოდელის 2 და „ა-კა-ეს“-ის მოდელის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 11 მჭიდით და 193 საბრძოლო ვაზნით, უცხოური წარმოების 1 პისტოლეტი 1 მჭიდითა და 3 საბრძოლო ვაზნით, ასევე კომბინირებული სანადირო თოფი ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სენაკის რაიონული განყოფილება აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

## შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 7 ადამიანი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს სასტუმრო „ვიქტორიას“ მესაკუთრე არჩილ ტ. და ადმინისტრატორი მარინა ლ, სასტუმრო „კოსმოსის“ ადმინისტრატორ-მესაკუთრე ნანა ა, სასტუმრო „ლუქსის“ ადმინისტრატორ-მესაკუთრე ნუნუ ს. და სასტუმრო „ბაკურის“ ადმინისტრატორი ნორა ს. სამართალდამცველებმა ასევე დააკავეს ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საუნის ადმინისტრატორი და მესაკუთრე — როზა ტ. და ოთარ კ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სტატუსით უკვე დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 254-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*

# „არაა გამორიცხული, ფეხით დავბრუნდე აფხაზეთში და ამის გამო, მოღალატეს ნურავინ დამიძახებს!“

## რას გეგმავს დევნილთა ერთი ჯგუფი სოხუმის დაცემის 20 წლისთავზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

2010 წლის 27 სექტემბერს დევნილების ერთი ჯგუფი, რომელსაც დევნილი ბერძნების საზოგადოების თავმჯდომარე **ფენია ყალიჩავა** ხელმძღვანელობდა, აშშ-ს ელჩთან, ჯონ ბასთან შეხვედრის მოთხოვნით, ქუჩის არაერთ აქციაზე ვიხილეთ. დევნილი ქალბატონი ჯერ 5000 მომხრესთან ერთად, აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით იმუქრებოდა, მერე კი, ტაქტიკა შეცვალა და სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს ტელედებატებში ელოდა. 2011 წლის 27 სექტემბერს ისევ 5 000 მომხრესთან ერთად, ფენია ყალიჩავამ კოლექტიური სარჩელის მომზადებასა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სტრასბურგში ჩივილზე დაიწყო საუბარი. მაშინ ეს ქალბატონი „ვერსიას“ უამბობდა: **„27 სექტემბერი ჩვენთვის სიკვდილის დღეა, ერის სიკვდილის დღე. დღემდე დაღუპულების ხარჯზე დავდივართ... ეს მოუშუშებელი წყლული და დანაკლისია, ამიტომ ყოველი 27 სექტემბრის დილა ჩვენთვის სანთლით ხელში თენდება. საკუთარი სახლებიდან გამოქცეულები, ბათუმის სასტუმრო „მესხეთიდანაც“ გამოგვყარეს და ახლა აქაც აღარ გვაყენებენ. ინსტანცია არ დამიტოვებია, არ მიმემართა, მაგრამ ყველა კარს ცხვირწინ გვიხურავენ“.** 2012 წელს, არჩევნების წინ დევნილების დიდი ჯგუფი, მათ შორის ფენია ყალიჩავა, ბიძინა ივანიშვილს პირადად შეხვდა და სამსაათნახევრიანი საუბრის შემდეგ, არაერთი დაპირება მიიღო. თუმცა ისტორიული არჩევნების შედეგად, დევნილებს იმედები გაუცრუვდათ და დღეს, სოხუმის დაცემიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, დევნილ ბერძენთა საზოგადოების თავმჯდომარე ფენია ყალიჩავა „ვერსიას“ დევნილთა ერთი ჯგუფის რადიკალური გეგმების შესახებ უამბობს: **„როცა ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ არჩევნებამდე დევნილებს შეგვხვდა, გაოგნებული იყო — არ მეგონა, ასეთი კარგი ხალხი თუ იყავითო; არაერთი დაპირება მოგვცა და განაცხადა, რომ ყველა დევნილს ფართი დაუკანონდებოდა, 4,5 მილიარდი ლარია გამოყოფილი, მე და ირაკლი ალასანია დავსხედით და სახლების პროექტიც კი გავიარეთ, უკვე ყველაფერი გათვლილი გვაქვს, თითოეული სახლი ევროპული სტილის იქნება და 60 000 ლარი დაჯდებაო. ამის შემდეგ არც ეს სახლი და არც პრემიერი თვალით არ გვინახავს. დევნილთა მინისტრი დავით დარახველიძე, დავით საგანელიძის ბიძაშვილის ქმარია და, როგორც ჩანს, ამ პოსტზეც ასე მოხვდა — მას დევნილები „დარეხვილს“ ვეძახით, რადგან საიმედო არც მისგან ისმის რამე... ამდენად, ახლა ასეთი ინიციატივა გვაქვს: ჩარიცხონ მილიარდი ლარი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, რათა ხალხს ფართები დაუკანონდეს და გარემონტდეს. ივანიშვილი იმასაც დაგვპირდა, რომ დევნილის 28-ლარიანი დახმარება გაორმაგდებოდა, რეალურად კი, ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ მისი გარეგადაიხდის, 75%-ს მერია, თუმცა გაზი ჯერ შემოყვანილიც არ არის. სოციალურად დაუცველი, აფხაზეთის ომის მონაწილე, რეპრესირებული ვარ და ამ ჩამონათვალს მარტო კუბოღა აკლია, ყურადღება რომ მომაქციონ! ივანიშვილი რომ ამბობს, პოლიტიკიდან წავალ, სამოქალაქო სექტორში გადავალ და ანალიზს გასწავლითო, ამით დიდ შეურაცხყოფას მაყენებს! ანალიზი მაშინ გავაკეთე, როცა ბიძინა ივანიშვილს მივეცი ხმა — ჩანს, შევცდი!“**

> **„27 სექტემბერს დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ, 30 სექტემბერს კი მშრალ შიმშილობას აშშ-ს საელჩოსთან ან ივანიშვილის რეზიდენციასთან დავიწყებთ“!**

დევნილთა ერთი ჯგუფი პრემიერის სასახლის წინ უვადო შიმშილობას აპირებს და ასეთი გეგმა აქვს: **„20 წლის წინ საზღვარზე გადმოვედით. არ ვიცოდით, ვინ ვიყავით, რას ვაკეთებდით და სად მივდიოდით. აქეთ წამოვედით, არავის იმედი არ გვქონია და არც ახლა ვართ ვინმეს იმედად, ყველაფერი ისევ ისეა, როგორც 20 წლის წინ, მეტიც — უარესად, ამიტომ ჩვენი მოთხოვნები თუ არ შესრულდება, ისევ ფეხით წავალთ ჩვენს აფხაზეთში! 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღის 20 წლისთავზე დაღუპული მეომრების მემორიალთან დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ. ჩვენი მოთხოვნები ასეთია — გაორმაგდეს დევნილის კომპენსაცია, დაკანონდეს ფართები, სასწრაფოდ დაიწყოს დევნილების გაზიფიცირება, მოგვეცეს აფხაზეთის ტელევიზია, ახალ მინისტრებს ვაძლევთ ვადას არჩევნებამდე, თავიანთი დაპირებები შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 27 სექტემბერს დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ, ორშაბათს კი, 30 სექტემბერს, მშრალ შიმშილობას დავიწყებთ და აშშ-ს საელჩოსთან ან ივანიშვილის რეზიდენციასთან დავსხდებით! ივანიშვილი კი მიდის, მაგრამ ჩვენ ვრჩებით! არაა გამორიცხული, მართლა ფეხით დავბრუნდე აფხაზეთში, როგორც, თავის დროზე, ფეხით წამოვედი იქიდან და ამის გამო, მოღალატეს ნურავინ დამიძახებს!“**

აფხაზეთიდან დევნილები ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნანახით არცთუ კმაყოფილნი ჩანან და სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას პროკურატურაში სარჩელის შეტანით იწყებენ. **ფენია ყალიჩავა** საკუთარ მოთხოვნებს ასე აყალიბებს: **„1500-მდე ობიექტი, მასში მცხოვრები დევნილებიანად, გაიყიდა — ეს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს! აფხაზი დეპუტატები პარლამენტში უნდა დაბრუნდნენ, საიდანაც რატომღაც გამოყარეს და ახლა საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენელი არ გვყავს. სოხუმელები არავის უნდა — ჩვენ ზანგები ვართ! შეისწავლონ დავით ბაქრაძის პოლიტიკური საქმიანობა, მოიხსნას ეს კაცი საპრეზიდენტო კანდიდატობიდან და ისიც და ყველა ნაციონალიც 10 წლით მაინც ჩამოსცილდეს პოლიტიკას!“**

შეუსრულებელია კიდევ უფრო კონკრეტული დაპირებებიც, მაგალითად, როგორიცაა ზამთარში გაზიფიცირებისა და გათბობის დაფინანსების პრობლემა. დრო არ ითმენს, მოთმენას აღარც დევნილები აპირებენ და რაკი კარგად აქვთ გააზრებული, რომ ყველა მომდევნო მთავრობა მათ მხოლოდ საარჩევნო რესურსად იყენებს, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში არც ერთი ძალის მხარდაჭერას არ აპირებენ: **„დიდი ხანია გაზიფიცირებას ველოდებით. ითქვა, რომ 25%-ს განსახლების სამინისტრო**

## ვერსიანიუსი

## რასმუსენი: „დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება“

ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრულ პატივისცემას მოითხოვს, — ამის შესახებ დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების კომენტირებისას ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა.

როგორც რასმუსენმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართული შეხვედრების შემდეგ, ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ნატო აგრძელებს არაღიარების პოლიტიკას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

**„ჩვენ საკმაოდ მკაფიო პოზიცია გვაქვს საქართველოსთან დაკავშირებით – მოვითხოვთ, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრულ პატივისცემას. ვაგრძელებთ არაღიარების პოლიტიკას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში და მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები. ეს ნაბიჯები საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება“,** — აღნიშნა რასმუსენმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მესტიის რაიონის სოფელ ლახამულადან მოსახლეობის ნაწილი ევაკუირებულია

ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული მეწყერსაშიშროების გამო, მესტიის რაიონის სოფელ ლახამულადან მოსახლეობის ნაწილის ევაკუირება მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მეწყერი უკვე დაიძრა და მისი მასშტაბიდან გამომდინარე, სოფლის მთლიანად დამეწყვრის საშიშროებაა. რამდენიმედღიანმა ძლიერმა წვიმამ მნიშვნელოვნად დაზარალა უშგულის მოსახლეობაც. დაზიანებულია ერთ-ერთი ეკლესიის სახურავი და საცხოვრებელი სახლები. ასევე, უხვი ნალექის შედეგად, დატბორილია სახნავ-სათესი მიწები და ჩატეხილია სოფლების დამაკავშირებელი რამდენიმე ხიდი.

ამასთან, ვითარებას ისიც ართულებს, რომ უშგულში თოვლი მოვიდა. ადგილზე არსებულ მდგომარეობას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები გაეცნობიან.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „პირდაპირ გეტყვით, ჟიული შარტავა სოხუმის მოედანზე არ დაუხვრეტიათ!“

## ბაკურ გულუა ჟიული შარტავასა და მამია ალასანიას დახვრეტის სკანდალურ ფაქტს ახმაურებს და ეროვნული გმირის ცხედრის სოხუმიდან თბილისში გადმოსვენების დეტალებს იხსენებს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დაღუპვის დღეცაა. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე, მასთან უკანასკნელ შეხვედრასა და მისი ცხედრის გადმოსვენების დეტალებს იხსენებს ყოფილი ვიცე-პრემიერი და სოფლის მეურნეობის ექსმინისტრი ბაკურ გულუა. 27 სექტემბერი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეაო, — ამბობს გულუა და იმასაც გვიმხელს, რომ გული წყდება — ჟიული შარტავას გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე, მის საფლავზე ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ გავა.**

— არასოდეს მითქვამს, რომ ომის მონაწილე ვარ, რადგან იარაღი ხელში არ ამიღია, თუმცა სოხუმში ხშირად ვიყავი. სამწუხაროდ, იქ ვიყავი იმ დრამატულ დღეებშიც. სოხუმი აქტიურად რომ იბომბებოდა, რეზო სალუქვაძემ, სოხუმის ფიზიკოტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა მთხოვა, ცოტა ბენზინს თუ გამომიყოფთ, თავდაცვის მიზნით, ჭურვებსა და ქვემეხებს დავამზადებთო. მეომრები გვთხოვდნენ, იქნებ ცოლ-შვილი გაარიდოთ აქაურობას ნავსადგურში მდგომი მეთევზეების გემითო. შევარდნაძესთან დავრეკე. არც კი იცოდა, რომ სოხუმში ვიყავი. მითხრა, ჟიული შარტავა სხდომას ატარებს, მოდი და გამოგიყოფთ ბენზინსო. რას ვიფიქრებდი, რომ ეს ჩემი და ჟიულის ბოლო შეხვედრა იქნებოდა. მივედი. რაღაც ინციდენტი მოხდა და ხმაურზე გამოვიდა ჟიული. დამინახა თუ არა, გადამეხვია.

**— მთავრობის სხდომის წინ რა ინციდენტი მოხდა?**

— გენო ადამია დაუპირისპირდა ერთ გენერალს, ვინც იაქტიურა ქართული ჯარის განიარაღების საქმეში. უთხრა, ხომ გეუბნებოდით, ომი დაიწყება და ხელცარიელები დავრჩებითო და გაიწია მასზე, მაგრამ გია ყარყარაშვილმა შეუშალა ხელი. დეტალებს აღარ დავაკონკრეტებ... სწორედ ამ ხმაურზე გამოვიდა შარტავა. ერთმა კორესპონდენტმა ფოტოების გადაღება დაიწყო. ჟიულიმ ჯერ დაუშალა. მერე თქვა, ბაკურთან დიდი ხანია სურათი არ გადამიღია, მოდი, გადაგვიღეთო... მივმართავ იმ კორესპონდენტს, თუ ომს გადაურჩა და აქვს ფირი, დამავალებს, თუ მომაწვდის. ეს იქნება ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მატიანე... იმ დღეს დავცილდით ერთმანეთს მე და ჟიული შარტავა. სალუქვაძისთვის 4 ტონა ბენზინი გამოყვეს. ნავსადგურისკენ გავემართე. უშიშროების მინისტრმა შევარდნაძის თხოვნა გადმომცა, ოჩამჩირეში ჩადით და თან გაიგეთ, რა ვითარებაა. ნავსადგურში მოველაპარაკე გემის კაპიტანს, მექანიკოსს. უშიშროების წარმომადგენლებმა საწვავი ჩაგვისხეს. შუქურას ზონასთან მოიყვანეს დაჭრილები, მოხუცები, ქალები და ბავშვები. ოთხად ოთხი ბიჭი ვიახლე ერთი ავტომატით.

**ყურეში გავედით თუ არა, მტერმა დაბომბვა დაგვიწყო, გემზე პანიკა ატყდა. ჭურვები ახლომახლო ცვიოდა. თან, საშინელების მოწმენი გავხდით — სოჭიდან სამგზავრო თვითმფრინავი მოფრინავდა. გუდაუთიდან მომავალმა კატერმა რაკეტა ესროლა და ჩვენ თვალწინ, პირდაპირ ყურეში ჩამოაგდო. დაახლოებით, 27 კაცი დაიღუპა. უმრავლესობა ჟურნალისტი იყო...**

ჩვენ კი, ეტყობა, რეზო სალუქვაძე „გამოგვეხმაურა“ — ჰაერში შემხვედრი ჭურვები გაუშვეს და გავაღწიეთ. ოჩამჩირეში ღამის პირველის ნახევარზე ჩავედით. იმის გახსენებაც არ მინდა, იქ რა სურათი ვნახე... ეს 22 სექტემბერს მოხდა. 27-ში კი, უკვე თბილისში ვიყავი.

**— და 27 სექტემბერს მოკლული ჟიული შარტავას ცხედრის გადმოსასვენებლად, შევარდნაძის დავალებით, სოხუმში როდის გაბრუნდით?**

— 28-ში გავფრინდი სოხუმში. ჟიულის ძმის — სოსოს თხოვნით, შევქმენი ჯგუფი, რომელიც ძირითადად მეგობრებით, ნათესავებით დავაკომპლექტე. ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა ცხედრის დასახსნელად. თუ ამას ახლა ვერ მოვახერხებდით, ვეღარასოდეს შევძლებდით. ადლერში ჩავფრინდით. გაგიმხელთ, სამი საწოლი გვქონდა წაღებული — ჟიული შარტავას, მამია ალასანიასა და პირადი მცველის — ქათამაძის ცხედრები ერთად უნდა გადმოგვესვენებინა. ადლერის აეროპორტში ვნახეთ რუსეთის სპეცსამსახურის პოლკოვნიკი შუიკოვი. საქმის კურსში ვარ, რისთვის ჩამოხვედითო, მითხრა, მაგრამ აჭიანურებს აფხაზური მხარე ცხედრის გადმოცემას, ისიც კი ვერ გავიგეთ, რა პირობებში დაიღუპა ჟიული შარტავაო. ლოდინში დაგვაღამდა. მოთმინების ფიალა ამევსო და პროტესტი გამოვხატე.

**გამიყვანა გვერდით შუიკოვმა და მითხრა: „თქვენ მე არ მიცნობთ, სამმხრივ მოლაპარაკებაზე რუსულ მხარეს ვხელმძღვანელობდი. ჟიულის მეგობარი ვარ. ჟიული ერთადერთი კაცია, ვინც მათ არ უნდა მოეკლათ, რადგან ის მხოლოდ ქართული მხარის კი არა, აფხაზების ინტერესებსაც ყოველთვის იცავდა. ახლა პირადად ველაპარაკე არძინბას. რაღაცას ეშმაკობს. მითხრა, ვერ ვიპოვეთო ცხედარი“. გავმწარდი. მან უცებ სადღაც დარეკა და რუსულად დაიწყო გინება. ბოლოს იყვირა, მოსკოვიდან სპეცრაზმს გამოვიძახებ და იქ სამი კი არა, ძალიან ბევრი გვამი იქნებაო. დაფრთხნენ, ეტყობა და 2 საათში ჰაერში ვერტმფრენიც გამოჩნდა — ჟიული შარტავას ცხედარი გადმოგვცეს.**

**— ცხედარი რა მდგომარეობაში იყო?**

— ექსპერტიზა ჰქონდა ჩატარებული. ეტყობა, დაბანეს, მოაწესრიგეს და ტანსაცმელიც ჩააცვეს. მაინც მიაქციეს ყურადღება და დაიცვეს აფხაზური წესები. ვერტმფრენი დაეშვა თუ არა, შუიკოვმა მთხოვა, დავხედავო. ერთი ფოთელი კაცი იყო, ახლობელი. ვუთხარი, თვითმფრინავში რამე არ ჩადოს, ყურადღება მიაქციე-მეთქი. უკანა ბნელ სალონში შევიდა ფოთელი და ცოტა ხანში ატირებული დაბრუნდა. მითხრა, დაიჩოქა შუიკოვმა ჟიულის ცხედრის წინ, მკერდზე აკოცა და მოუბოდიშა, ვერ შევძელი შენი დაცვაო... მაშინ მივხვდი, რატომ არ გამიჩნდა ამ ადამიანთან ბრძოლის სურვილი.

**— ალასანიასა და ქათამაძის ცხედრები რატომ არ გადმოგცეს?**

— შუიკოვს ვკითხე ამის შესახებ. მითხრეს, მაგათ ვერ ვცნობთ, აქ ძალიან ბევრი ცხედარია, ამოცნობა ვერ მოვახერხეთ და სხვა დროს გადმოგცემთო, მიპასუხა. მაშინვე ვთქვი, ესე იგი, ეს არასდროს მოხდება-მეთქი. სხვა არჩევანი არ გვქონდა, გადმოვასვენეთ ჟიული შარტავა და გამოვფრინდით. გადმოვუფრინეთ აფხაზეთს, ვუყურებდი ალმოდებულ სოხუმს და საშინელი განცდა მეუფლებოდა. აეროპორტში ჩამოვფრინდით თუ არა, ვთქვი, ჟიული შარტავას ტანსაცმელი მოიტანეთ, მისი ოჯახის წევრებისთვის გულისდაკოდვა იქნება, უცხო ტანსაცმელში თუ ნახავენ-მეთქი...

**ვიტყვი პირდაპირ — ჟიული სოხუმის მოედანზე არ დაუხვრეტიათ. ჟიული შარტავა ცოცხალი, საღ-სალამათი მიიყვანეს უშიშროებაში 27 სექტემბერს, საღამოს. იყო დაცული და გადარჩენილი. გადაიყვანეს გუდაუთაში, რომ მეორე დილით ადლერიდან გამოფრენილიყო. აი, სწორედ იმ გზაზე დაახვედრეს ხალხი.**

**— ცნობილია, რომ მამია ალასანიამ ჟიული შარტავა ბოლო წუთამდე არ მიატოვა და ისინი ერთად დახვრიტეს. თქვენი ინფორმაციით, ისინი სიკვდილის დროს ერთად არ იყვნენ?**

— ფაქტია, როცა ვიკითხე მამია ალასანიას ცხედრის შესახებ, მითხრეს, რომ მისი ამოცნობა ვერ მოხერხდა. სად იყო მაშინ ალასანია, როცა ჟიული გუდაუთისკენ წაიყვანეს, არ ვიცი. მოხდა ისე, რომ ცხოვრებამ შემახვედრა ბორის პასტუხოვთან. ვუთხარი, როგორ ვერ შეძელი ერთი ადამიანის სიცოცხლის დაცვა, როცა ის გადარჩა იქ ქაოსს-თქო. ეს საუბარი არ იყო სასიამოვნო. რა უნდა ეპასუხა? დარწმუნებული არ ვარ, რომ მან შეგნებულად რაღაც გააკეთა, მაგრამ მისი ხელით აღასრულეს. სხვათა შორის, იყო ზარი თბილისში, რომ ჟიული გადარჩენილია, ადლერიდან გამოაფრენენო. სოსო შარტავა მოვარდა, ლამის დამიჩოქა, ვიცი შენი კავშირები, ჩადი და ძმა ჩამომიყვანე, მომიკლავენო. წინათგრძნობა ჰქონდა. ეს ძალიან მძიმე დღეები იყო. რა მოხდა? რატომ დარჩა ჟიული სოხუმში? როგორ აღმოჩნდა იმ ვითარებაში? რა მოგვცა მისმა გმირულად დაღუპვამ? ჟიული შარტავამ შეწირა საქართველოს თავი, მაგრამ... მისი ოქროს პოტენციალი დააკლდა ქვეყანას. დღეს კიდევ იქნებოდა ქვეყნის სამსახურში და უამრავ კეთილშობილურ საქმესაც გააკეთებდა... და ასეთი რამდენი ადამიანი დავკარგეთ. აი, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, საომარი მოქმედებების დაწყებას ვეწინააღმდეგებოდი.

**— ამის შესახებ პირადად შევარდნაძეს უთხარით?**

— დიახ. როცა გავიგე, რომ გადაწყდა აფხაზეთის სახელმწიფო საბჭოზე აფხაზეთში ე.წ. სამხედრო ფორმირების შეყვანა, მაშინდელი შს მინისტრის, რომან გვენცაძის დახმარებით, მივედი შევარდნაძესთან. ვუთხარი, რას აკეთებ, ჯარით იქ შესვლა აფხაზეთის დაკარგვას ნიშნავს-მეთქი. შევარდნაძე დაიბნა. პირდაპირ ვუთხარი, ეს იქნება თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა-მეთქი. მომასმენინა ავთანდილ იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანთან საუბარი. დამანახა, ბორბალი უკვე ამოძრავებულია, გადაწყვეტილება მიღებულია, დაგაგვიანდა მოსვლაო... მერეც ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ისე ნუ გამოვიყვანთ, თითქოს სულ ჩვენ ვცდებოდით — სასტიკი მტერი გვყავდა. უბრალოდ, უნდა გვეფიქრა, რომ მასთან საომარ ვითარებაში ჩაბმა, კარგი შედეგით არ დასრულდებოდა.

**— ამის შესახებ სახელმწიფო მეთაური წინასწარ გაგიფრთხილებიათ. სოხუმის დაცემის შემდეგაც ესაუბრეთ შევარდნაძეს მის „ყველაზე დიდ შეცდომაზე“?**

— ჟიული შარტავა გადმოვასვენეთ თუ არა, შევარდნაძეს შევხვდი. ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი შედგა ჩვენს შორის, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

**— ეს გაუთვლელი შეცდომა იყო თუ „გაყიდული ომი“, როგორც ხშირად უწოდებენ?**

— ძალიან კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით. ამბობენ იმასაც, რომ შევარდნაძემ უღალატა ქვეყანას, სააკაშვილმაც უღალატა... და რა არის ამ ღალატის საფასური? რბილად რომ ვთქვათ, ასე უპატივცემულოდ თავიდან მოცილება შეიძლება აწყობდეს პირველ პირს? რა მიიღეს მათ საჩუქრად ღალატის შედეგად? ჩვენ მოღალატეები გვყავდა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. როცა ისინი ერთიანდებოდნენ, უსუსურები აღმოვჩნდებოდით

ხოლმე. სამწუხაროდ, საქართველო ამ დღეშია აზროვნებისა და არა უძლურების გამო. აფხაზეთის ომამდეც და შემდეგაც, არავინ დასვა მარტივი კითხვა — აფხაზეთში წესრიგი რომ დაგვემყარებინა და იქ დავმსხდარიყავით, შევინარჩუნებდით ამ მდგომარეობას? რუსეთი ხომ არ მოგვასვენებდა და მაინც გააკეთებდა იმას, რაც მიზნად ჰქონდა.

**— რუსეთის მიზნები დღესაც უცვლელია. რა ნაბიჯები უნდა გადადგას დღევანდელმა ხელისუფლებამ?**

— 20 წელი დასჭირდა იმ შეგნების ჩამოყალიბებას, რომ რუსეთს არ უნდა ებრძოლო ძალით. დიპლომატიით, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით უნდა მოვახერხოთ ურთიერთობის დარეგულირება. ეს ერთადერთი გზაა, ოღონდ — საქართველომ კვლავ უნდა შეიძინოს თავისი უნიკალური ფუნქცია კავკასიაში. და კიდევ — არავის ეგონოს, რომ აფხაზეთში დასაყრდენი არ გვაქვს. შეიძლება, პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ აფხაზეთში არის ის გონიერი მოსახლეობა, ვინც ჩვენი დასაყრდენია. ისინი ისევე აზროვნებენ, როგორც ჩვენ და აფხაზეთის შემომტკიცების იმედი მანამ დარჩება, სანამ ეს ხალხი ცოცხალია. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის — ყველაზე მეტი ძალა ამ ქვეყანაზე არის აზროვნება და გონება. მხოლოდ ეს თუ გადაგვარჩენს. ამას ქადაგებს სწორედ ჩვენი პატრიარქი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ესმის, რას გულისხმობს უწმინდესი, მაგრამ მთავარია მათ ესმოდეთ, ვინც ქვეყანას მართავს.

# ბრაზილიური ბარკლების ქართული სერიალი ანუ როგორ ემზადება რემი ბიწაძე ძველი „დიდების“ დასაბრუნებლად

ლევან ღვინიაშვილი

**რამდენიმე დღის წინ, მსოფლიო პრესაში ირანის ყოფილი პრეზიდენტის, მაჰმუდ ახმადინეჯადის ფოტო გავრცელდა. კაცი, რომელიც ირანს ბოლო 8 წელი მართავდა და ისეთი ზესახელმწიფო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა, დღეს ავტობუსით დადის და ძველ პროფესიას, მასწავლებლობას მისდევს. აჰმადინეჯადიმ უარი თქვა, სახელმწიფოს მიეღო კანონი, რომელიც ექსპრეზიდენტებს მატერიალურ სიკეთეს მოუტანდა და, როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტობის დროს მას არც იმდენი დანაზოგი გაუკეთებია, ერთი წელი მაინც უზრუნველად რომ ეცხოვრა. რაც მთავარია, აჰმადინეჯადს პირადი დაცვა აღარ ჰყავს და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს...**

აბა, რა ძნელი მისახვედრია, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, დაცვის გარეშე მიხეილ სააკაშვილი ნაბიჯსაც არ გადადგამს, მაგრამ რაღა სააკაშვილი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ისეთი დაცვით დადის, ბარაკ ობამასა და ანგელა მერკელს შეშურდებათ. მარტო არც ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე და მისი ძმა, რემი ბიწაძე მოძრაობენ. საზოგადოება ამ უკანასკნელს ნაკლებად იცნობს, მაგრამ რეალურად, ბურჯანაძეების ოჯახის „მეჭურჭლეთუხუცესი“ სწორედ რემი ბიწაძე გახლავთ და მის „საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე“ მოგითხრობთ.

პირადად მე, ბატონი რემი შემთხვევით, მაშინ გავიცანი, როცა ქვემო ქართლში ერთ-ერთ ბიზნესმენს აწიოკებდა, გინდა თუ არა, შენი ბიზნესის წილში უნდა ჩამსვა, თორემ „ცულს მოვიტან ცუნცულასო“... 2004 წელი იდგა, „ვარდების რევოლუცია“ ახალი მომხდარი იყო და გამარჯვებული მხარე ნადავლის დასაუფლებლად ერთმანეთსა და ხალხს იყო დარეული. ბურჯანაძეებს დასავლეთ საქართველო და, განსაკუთრებით, იმერეთის მხარე შევარდნაძის დროს ჰქონდათ ათვისებული, რევოლუციამ კი ფრთები გააშლევინა და აღმოსავლეთზე გადაინაცვლეს. ნინო და ბადრი თითქოს არსად ჩანდნენ, მაგრამ მათი სახელით რემი ბიწაძე მოქმედებდა...

არადა, მაშინ, როცა ბატონი რემი ბიზნესმენების დაწიოკებას შეუდგა, შევარდნაძის დროს ხელში ჩაგდებულ შენობებს ნინო ბურჯანაძის მამა სახელმწიფოზე(?!) აქტიურად აქირავებდა და, რაღა თქმა უნდა, ამაში შვილიც ეხმარებოდა. ასე გააქირავეს ორთაჭალაში პურ-პროდუქტების კორპორაციის შენობის მეხუთე სართული, საიდანაც თვეში ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდათ და ეს მაშინ, როცა საარსებო მინიმუმის რამდენიმე ლარით აწევაზე ხალხი პარლამენტს „ეჭიდავებოდა“, თავმჯდომარე კი ნინო ბურჯანაძე იყო და სწორედ ის უჭერდა მხარს იმჟამინდელ ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, აქაოდა, ბიუჯეტი ამდენს ვერ გასწვდება, ცოტაც გვაცადეთო. მაშინ არც ნოღაიდელმა და არც ბურჯანაძემ არ იცოდნენ, რომ მალე ერთმანეთს წაეკიდებოდნენ და მიზეზი... რემი ბიწაძე იქნებოდა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

პურ-პროდუქტების კორპორაციის შენობის გარდა, ბურჯანაძეების სახელზე თბილისში არაერთი უძრავი ქონება ირიცხება და ყველა მათგანი გაქირავებულია, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მათ ქუთაისში აქვთ. სხვათა შორის, იმერეთის გუბერნატორობის დროს, თემურ შაშიაშვილი ბურჯანაძეებს ღიად დაუპირისპირდა და ხმამაღლა აცხადებდა, მაგათ ნახევარი ქუთაისი გაყიდეს და დასაჭერები არიანო, მაგრამ ვინ დაუჯერა. შაშიაშვილი ყველაზე მეტად ქუთაისის საავიაციო ქარხნიდან გაყიდულ დანადგარებს მისტიროდა, სახელმწიფომ მილიონები გადაიხადა, რომ ეს დანადგარები ეყიდა და ახლა ბურჯანაძეები ჯართად ასხვისებენო. საგულისხმოა, რომ ის დანადგარები უკრაინიდან იყო ჩამოტანილი და ჯართად ისევ... უკრაინაში გაიტანეს, მაგრამ იქ ისევ ჯართად გაყიდეს თუ მეორად დანადგარებად, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, უკრაინული მხარე ამ გარიგებით აშკარად კმაყოფილი იყო და მილიონებად გაყიდული ქონება უკან ათასებში რომ მიიღო, არც დაუმალავს. ეს საქმე იმდენად ხმაურიანი გამოდგა, რომ შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ქარხნის დირექტორი ირაკლი კოხრეიძე დაიჭირა, თუმცა მაშინ, ირაკლის „აუხსნეს“, რომ საქმეში პარლამენტის თავმჯდომარეს ხელი იღლიამდე იყო ჩაფლული, მას კი არავინ დააჭერინებდა და... „ოქრო-ბიჭს“ კოხრეიძეც გასაშვები გაუხდა.

ყველაფერი, ალბათ, ასე „ჰარმონიულად“ გაგრძელდებოდა, რომ არა 2005 წლის 3 თებერვალი. ამ დღეს ქვეყნის მოქმედი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გაურკვეველ ვითარებაში (ოფიციალური ვერსიის თუ ვინმეს სჯერა, ვერ გეტყვით) გარდაიცვალა და ხალხზე გამარჯვებულ მთავრობაში ძალთა ახალი გადანაწილება დაიწყო. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გახდა და რა ძნელი მისახვედრია, რომ მისი ბიზნესინტერესების არეალი უფრო გაფართოვდა. იმ დროისთვის ყველაზე მეტად ახალმოსულ მთავრობაში ბურჯანაძის კლანი ხეირობდა, სააკაშვილი ძველი ბიზნესმენების „გაპარსვითა“ და ნავთობის კომპანიების ხელში ჩაგდებით იყო დაკავებული, წვრილ-წვრილი ბიზნესი კი თითქმის 90%-იანი სიზუსტით ხარკს რემი ბიწაძეს უხდიდა. ყველაფრის გვირგვინად ბურჯანაძეებს კაფე „დელ მარი“ ჰქონდათ, რომელიც მერე ერთგვარ კორპორაციად ჩამოყალიბდა, დაიქსაქსა და რვაფეხასავით სხვადასხვა ბიზნესს მოედო. თავიდან ბატონი რემი ყველგან ჩანდა, მერე კი „დელ მარის“ სახელი ვინმე ვახტანგ ცირეკიძეს დაუკავშირდა. ვახტანგ ცირეკიძე „ვინმე“ მხოლოდ საზოგადოებისთვის იყო, თორემ, უშუალოდ, რემი ბიწაძესთან ნათელ-მირონი აკავშირებდა და, რაღა თქმა უნდა, მისი მარჯვენა ხელი გახლდათ.

პარალელურად, გაძლიერება ნოღაიდელის კლანმა დაიწყო და სწორედ მაშინ, როცა ბურჯანაძეებმა ფრთა საზღვრებსგარეთაც გაშალეს, საქმეში ნოღაიდელი ჩაერთო. ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის დროს ნოღაიდელი ბრაზილიიდან გაყინული ქათმებისა და ბარკლების ბიზნესს ლობირებდა და ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება რემი ბიწაძემ გადაწყვიტა. თუმცა, როცა საქონლით დატვირთული კონტეინერები საზღვარს მოადგნენ, ნოღაიდელმა თავისი კავშირები აამუშავა და... ბიწაძეს ტვირთის განბაჟებაზე უარი უთხრეს. არადა, თითოეული საათი უკვე ბევრს წყვეტდა. მანქანები მაცივარს ამუშავებდნენ, რათა ხორცი არ გაფუჭებულიყო, საბაჟო კი დროს წელავდა.

— ნინომ რამე თუ არ იღონა, ჩათვალეთ, რომ რამდენიმე მილიონში გადავვარდი, — რემი ბიწაძის ეს სიტყვები საკუთარი ყურით მაქვს გაგონილი და... იმავე საღამოს „კურიერის“ 9-საათიან გამოშვებაში პარლამენტის თავმჯდომარემ ნოღაიდელი პარლამენტში დაიბარა, ფინანსთა მინისტრთან კითხვები მაქვს და ამ კითხვებზე პასუხი თუ ვერ მივიღეთ, მაშინ მისი გადადგომის საკითხს დავაყენებო. ერთი შეხედვით, ჩანდა, რომ ეს ხალხზე ზრუნვის რიგითი მცდელობა იყო, სინამდვილეში კი, ბურჯანაძეების ფული საზღვარზე ლპებოდა და სუნი ასდიოდა. ნოღაიდელი პარლამენტში არ მივიდა, ქათმები განაბაჟეს და გამარჯვებული ისევ რემი ბიწაძე დარჩა, თუმცა დროებით — ჟვანიას გარდაცვალებამ ყველაფერი არია, რადგან ფინანსთა მინისტრი პრემიერად გარდაიქმნა და პირველი იერიში სწორედ ბურჯანაძის ბიზნესზე მიიტანა. შიდაარეულობა იმდენად თვალშისაცემი გახდა, რომ მხარეების დაშოშმინებაში მაშინ მთელმა ნაცელიტამ მიიღო მონაწილეობა. ნოღაიდელმა მაინც არ დათმო და ბრაზილიური ქათამი უკვე მისი „სახელობის“ გახდა.

სამაგიეროდ, რემი ბიწაძემ სადახლოდან საზღვარზე გასატან-შემოსატანი ტვირთების კონტროლი დაიწყო და შიგადაშიგ, არალეგალური ტვირთიც ხშირად „იპარებოდა“. მებაჟეები ორივე თვალს ხუჭავდნენ, მაგრამ ერთმა დიდმა პრობლემამ აქაც იჩინა თავი — სადახლოელმა მოლამ სადრადინ მამედოღლი ფალენგოვმა ბიწაძის რამდენიმე ტვირთს ღიად შეუშალა ხელი და გარდა იმისა, რომ სრულიად საქართველოს მუფტს წერილს წერილზე წერდა, სადახლო უკანონო ტვირთების გამტარ ზონად იქცაო, რამდენჯერმე სოფელიც ააჯანყა და გზები გადააკეტინა. ეს ყველაფერი კი ბიწაძისა და, შესაბამისად, ბურჯანაძის ჯიბეს მწვავედ და მწარედ ურტყამდა. მოლას შუამავლები მიუგზავნეს და როგორც სოფელი ამბობს, მაშინ ფალენგოვმა ისინი სახლიდან გაყარა, თუმცა...

ახლა ძალიან ძნელია რამის დაზუსტებით მტკიცება, მაგრამ ფაქტია — 2005 წლის 28 ივნისს სადრადინ მამედოღლი ფალენგოვი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. გამოძიება გვამს დღემდე ეძებს, მაგრამ მოსახლეობამ მოლას სისხლი, ქუდი და იქვე „მაკაროვის“ სასტემის პისტოლეტის ცარიელი მასრები იპოვა. მაშინაც და ახლაც, სადახლოს მოსახლეობის უმრავლესობა ხელს ბურჯანაძისკენ იშვერდა, პირად საუბრებში კი ამბობდა, რომ ყველაზე მეტად მოლას სიკვდილი რემი ბიწაძეს აწყობდა.

ხელისუფლებიდან წასვლისა და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ბურჯანაძეებს ფრთები შეეკვეცათ. ყველაზე მეტად რემი ბიწაძე დაზარალდა, რადგან მას რამდენიმე უკანონოდ წართმეულ-მითვისებული ფართი დაათმობინეს და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვაკეში, სუპერმარკეტ „დიპლომატთან“. ჩაილურის წყალი დალია ნოღაიდელის მიერ წართმეულმა და ამ უკანასკნელის გადადგომისა თუ გაგდების შემდეგ კვლავ უკან დაბრუნებულმა ბრაზილიური ქათმების ბიზნესმა, „დელ მარის“ გაშლილი ფრთებიც შეიკვეცა და ბურჯანაძეები თვეში 2-3 მილიონის იმედადღა არიან. ბურჯანაძეებისთვის წართმეული წყნეთის სამთავრობო აგარაკის ამბავიც გემახსოვრებათ, როცა ოჯახს გასაგებად უთხრეს, სახელმწიფო კუთვნილება თქვენი ნივთებისგან დაცალეთო, ბურჯანაძეებმა ავეჯი ხომ წაიღეს და კედლიდან დენის გაყვანილობაც ამოთხარეს, ჩამრთველებიც ხელს გააყოლეს და იმ აგარაკის დარაჯი ხუმრობდა, ბალახის დათიბვასაც აპირებდნენ, უბრალოდ, ვერ მოიფიქრეს, თივა რაში გამოეყენებინათო.

ჰოდა, ახლა, წინასაარჩევნოდ, ბადრი ბიწაძეზე მეტად მისი ძმა რემი ბიწაძე აქტიურობს და ახლავე იმუქრება, როცა ნინო პრეზიდენტი გახდება, ბრაზილიურმა ქათამმა კვერცხი ისევ ჩემს ბუდეში უნდა დადოსო და ვნახოთ. არა გვგონია, ბურჯანაძე-ბიწაძეები მხოლოდ კვერცხების (თუნდაც ბრაზილიურის) იმედად იყვნენ.

ვერსიანიუსი

## თბილისის ისტორიულ უბნებში მშენებლობის ნებართვებს მერიის ნაცვლად, კულტურის სამინისტრო გასცემს

პარლამენტის მიერ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდა, რომლის თანახმად, იმ შენობა-ნაგებობებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა, თბილისის მერიის ნაცვლად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უნდა მიმართონ და გარდა ამისა, თბილისის ისტორიულ უბნებში მშენებლობის წარმოებისთვის სავალდებულო გახდა კულტურის სამინისტროს თანხმობა. **„თბილისის მერიის არაერთი მიმართვის მიუხედავად, პარლამენტმა არ გაითვალისწინა კანონში შეტანილი ცვლილებების ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დედაქალაქში სამშენებლო პროცესების შეფერხების კუთხით. დედაქალაქის ტერიტორიაზე სამშენებლო პროცესი და ნებართვების გაცემა ხორციელდებოდა დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ, ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, სამართალწარმოების მაღალი სტანდარტისა და ერთიანი საჯარო პროცესის ფარგლებში. თბილისის მერიის მიერ შესაძლებელი გახდა თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და მოწესრიგება; შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. შემცირდა სანებართვო ვადები და ა.შ. კულტურის სამინისტროს კი არ გააჩნია მშენებლობის ნებართვებზე იმ რაოდენობის განაცხადების მიღებისა და განხილვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკული თუ სხვა რესურსების მართვის გამოცდილება, ვიმედოვნებთ, სამინისტრო თავს გაართმევს დედაქალაქში სამშენებლო პროცესების მართვას“,** — აცხადებენ თბილისის მერიაში.

*„პირველი“*

# ვის ინტერესებს შეეწირა ბიზნესმენი გელა მიქაძე, რა მასალები დამალა ბრალდებამ და „რაკიინ დეველოპმენტის“ საქმის რა ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს ადვოკატი „ვერსიას“?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე, შპს „რაკიინ დეველოპმენტისა“ და „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ ყოფილი დირექტორი გელა მიქაძე დააპატიმრეს. დაკავებულის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი აცხადებს, რომ ბრალდებამ სისხლის სამართლის საქმის ის დეტალები დამალა, რომლითაც გელა მიქაძის უდანაშაულობა მტკიცდება. საქმის მასალების მიხედვით, გელა მიქაძემ არაბი ინვესტორებისგან მალულად, თვითნებურად გაასხვისა იმ კომპანიების წილები, რომლებსაც რას ალ ხაიმას ემირი ფლობდა. ამ ქმედებით, გელა მიქაძემ არაბ ინვესტორებს 60 000 000 აშშ დოლარის ზარალი მიაყენა, მაგრამ, რეალურად, ქართველ ბიზნესმენს ოფიციალურად ჰქონდა უფლება, კომპანიის წილები გაესხვისებინა და მისი ეს უფლება ნოტარიულად დამოწმებულია.**

## ბრალდების ოფიციალური ნაწილი

გამოძიებით დადგინდა, რომ გელა მიქაძემ, როგორც შპს „რაკიინ დეველოპმენტის“ დირექტორმა, საწარმოს დამფუძნებლების, არაბი ინვესტორების თანხმობის გარეშე, 2011 წლის 10 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით, მართლსაწინააღმდეგოდ, მის მიერ რეგისტრირებულ არარეზიდენტ კომანდიტურ საზოგადოება „ბესტფორდ დეველოპმენტ ელ-ელ-ფიზე“, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, 16 940 000 ლარის ღირებულების შპს „რაკიინ დეველოპმენტის“ 8.47%-იანი წილი გადააფორმა. მანვე, როგორც შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ დირექტორმა, 2011 წლის 30 აგვისტოსა და 2012 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებებით, მართლსაწინააღმდეგოდ, მის მიერ რეგისტრირებულ არარეზიდენტ კომანდიტურ საზოგადოება „მენლაინ პროჯექტს ელ-ელ-ფიზე“, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადააფორმა 30 000 000 ლარის ღირებულების შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას“ 15%-იანი წილი და 3 300 000 აშშ დოლარის ღირებულების, შპს „რაკია საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ 15%-იანი წილი.

გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ 2008 წლის 18 ივნისს, შპს „რაკიინ დეველოპმენტსა“ და შპს „მთაწმინდის პარკს“ შორის, მთაწმინდის პარკის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც შპს „რაკიინ დეველოპმენტმა“, 2008-2011 წლებში, თბილისის მთაწმინდის პარკში დიდი ოდენობით ინვესტიცია განახორციელა. 2012 წლის 3 მაისს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შპს „თბილისის პარკს“ მართვის უფლებით გადაეცა მთაწმინდის პარკი, რის სანაცვლოდაც, აღნიშნულ შპს-ს 12 000 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. გელა მიქაძის მითითებით, შპს „თბილისის პარკის“ მიერ გადმორიცხული 6 000 000 დოლარიდან, 5 700 000 დოლარი გადარიცხეს მიქაძის გამგებლობაში არსებული კომპანიების, კომანდიტურ საზოგადოება „ბესფორდ დეველოპმენტ ელ-ელ-ფისა“ და შპს „ლაბეი დეველოპმენტის“ საბანკო ანგარიშებზე. სინამდვილეში, ეს თანხა შპს „რაკიინ დეველოპმენტში“ უნდა გადარიცხულიყო. აღნიშნული ქმედებებით, გელა მიქაძემ არაბული საინვესტიციო კომპანია „რაკიინ დეველოპმენტის“ 52 385 000 ლარის ღირებულების წილი და ფულადი თანხა — 5 700 000 აშშ დოლარი მიითვისა. ეს კომპანიები საქართველოში შემდეგ აქტივებს ფლობენ: სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“ და „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით გრძელდება, რაც 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## სისხლის სამართლის საქმის ექსკლუზიური დეტალები

გელა მიქაძის ინტერესებს სასამართლოში ადვოკატი სოსო ბარათაშვილი იცავს, რომელმაც „ვერსიას“ ოფიციალური ბრალდების ექსკლუზიური დეტალები უამბო.

**ბიზნესმენი გელა მიქაძე, გარკვეული პერიოდის მანძილზე აშშ-ში მუშაობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კომპანიების — „კოკა კოლასა“ და „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ ოფიციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში. 2006-2008 წლებში, ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად მუშაობდა, ბოლოს კი, „რაკიინ დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი, ასევე „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიასა“ და „რაკია ჯორჯიას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. სამივე კომპანია, არაბეთის გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთი საამიროს, რას ალ ხაიმას ემირმა დააფუძნა. გელა მიქაძის კომპანიები საქართველოში „თბილისი მოლის“, „შერატონ მეტეხი პალასის“, მთაწმინდის პარკისა და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის აქტივებს ფლობს.**

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ამბობს, რომ გელა მიქაძის საქმიანობით არაბი ინვესტორები კმაყოფილები იყვნენ: **„არაბულ ინვესტიციებს რას ალ ხაიმას საამიროში, დოქტორი ხატერ მასადი ფლობდა, რომელმაც განათლება შვეიცარიაში მიიღო. 90-იან წლებში, დოქტორი მასადი საამიროებში დაბრუნდა, სადაც რას ალ ხაიმას შეიხს შეხვდა და ერთობლივ ბიზნესს საფუძველი ჩაუყარა. რას ალ ხაიმას შეიხმა და მასადმა კერამიკის გადამუშავება დაიწყეს, რისთვისაც კერამიკული ქარხანა ააშენეს. პროექტი შედგა და რას ალ ხაიმას საამიროს დიდი სარგებელი მოუტანა, კომპანია „რას ალ ხაიმა კერამიკსმა“ კი მსოფლიოში გაითქვა სახელი. ფაქტობრივად, დოქტორი ხატერ მასადი რას ალ ხაიმას საამიროს „ეკონომიკური სასწაულის“ ავტორად ითვლება, რომელიც მილიარდერთა კლუბის წევრია და დიდი გავლენით სარგებლობს. მოგვიანებით, რას ალ ხაიმას შეიხი გარდაიცვალა, მისმა ვაჟმა კი ხატერ მასადის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ დოქტორ ხატერ მასადი, გელა მიქაძის საქმესთან უშუალო კავშირშია, რადგან იმ კომპანიების უფლებამოსილი პირი, რომელსაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ხელმძღვანელობდა, სწორედ ხატერ მასადი იყო“,** — გვიამბობს სოსო ბარათაშვილი.

2011 წლის 4 მარტს, დოქტორმა ხატერ მასადმა, როგორც „რახილ დეველოპმენტის“ („რაკიინ დეველოპმენტის“ 100%-იანი წილის მფლობელი კომპანია, — ავტ.) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოტარიუსს, ოთარ ზოიძეს მიმართა, რათა გელა მიქაძისთვის ს/ს „რახილ დეველეპმენტის“ რწმუნებულის უფლებამოსილება მიენიჭებინა. სოსო ბარათაშვილის თქმით, ხატერ მასადმა გასცა მინდობილობა, რომლითაც გელა მიქაძეს უფლება ჰქონდა, სასყიდლით ან უსასყიდლოდ შპს „რაკიინ დეველოპმენტის“ კაპიტალში, მარწმუნებლის კუთვნილი 100%-იანი წილიდან, 8.47%-იანი წილი გაესხვისებინა. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა და ხელშეკრულების პირობებიც განისაზღვრა. ადვოკატის განცხადებით, გელა მიქაძე უფლებამოსილი იყო, მის მფლობელობაში არსებული კომპანიების წილები გაესხვისებინა, რაც ნოტარიულადაც დამოწმებულია. ამდენად, ოფიციალური ბრალდების სამივე ეპიზოდში, რაც 8.47%-იანი და 15%-იანი წილების გასხვისებას ეხება, გელა მიქაძე უდანაშაულოა:

*დასასრული მე-10 გვერდზე*

## მართვის უფლებაჩამორთმეულ მძღოლებს სპეციალური გამოცდის ხელახლა ჩაბარება აღარ მოუწევთ

მართვის უფლებაჩამორთმეულ მძღოლებს, ეს უფლება სპეციალური გამოცდის ხელახალი გავლის გარეშე აღუდგებათ. ამასთან, თავად მართვის უფლების ჩამორთმევა, მართვის უფლების შეჩერებით იცვლება. ამას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომლის ავტორი და ინიციატორი შინაგან საქმეთა სამინისტროა და კანონპროექტი პარლამენტში შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ წარადგინა.

პროექტის ერთ-ერთი სიახლეა ის, რომ თუკი სადღეისოდ მძღოლს მართვის უფლების მოსაპოვებლად გამოცდის ჩაბარება ხელახლა უწევს, ეს ვალდებულება უქმდება და ავტომატურ რეჟიმში, როგორც კი შეჩერების ვადა გაივლის, მას მართვის უფლება აღუდგება. ასევე მცირდება მართვის უფლების შეჩერების ვადა. კერძოდ, საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა პირი ადმინისტრაციულ საურავებს ვერ იხდის და ამის გამო მართვის უფლება ერთი ან ორი წლით აქვს ჩამორთმეული. შსს-ს ინიციატივით, მართვის უფლების შეჩერების სახდელები ნახევრდება და ორწლიანი ვადა ხდება ერთი წელი, ხოლო ერთწლიანი ვადა ექვს თვემდე ჩამოდის.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, მკაცრდება ზომები ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში, რა დროსაც პირველივე სანქცია მართვის უფლების შეჩერება იქნება. ასევე 50 ლარით დაჯარიმდება იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, რომელსაც მინები დაბურული აქვს შსს-ს საპატრულო დეპარტამენტის თანხმობის გარეშე, იმავე დარღვევის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა იზრდება 100 ლარამდე, ხოლო წლის განმავლობაში მესამე შემთხვევაში, მართვის უფლება ჩამოერთმევა 6 თვის ვადით.

მკაცრი ადმინისტრაციული სახდელები წესდება ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობა მკაცრდება საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოების ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების შემთხვევაში, რაც თავის მხრივ, ისეთ ქცევას გულისხმობს, რომელიც ადამიანის უპატივცემულობას გამოხატავს და მის შეურაცხმყოფელ გარემოში ჩაგდებას განაპირობებს. ამაში კი იგულისხმება: სექსუალური ხასიათის ქცევა, საზოგადოებრივ ადგილებში სრული ან ნაწილობრივი უხამსი გაშიშვლება, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ახალ რედაქციაში აისახა ასევე არასრულწლოვანის მიერ განხორციელებულ ცრუ შეტყობინებასთან დაკავშირებით მშობლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციული პატიმრობის 90-დღიანი ვადის 15 დღემდე შემცირების საკითხი.

## დეკრეტული შვებულების დღეების რაოდენობა და ანაზღაურება იზრდება

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული ინიციატივით, შრომის კოდექსში ცვლილებები შედის, რომლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება 477-დან 730 კალენდარულ დღემდე იზრდება. აქედან 126 დღის ნაცვლად, ანაზღაურებადი 183 კალენდარული დღე ხდება, ხოლო მშობიარობის გართულების, ან ტყუპის შობის შემთხვევაში — 140 დღის ნაცვლად, 200 დღე.

რაც შეეხება დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ოდენობას, თუკი სადღეისოდ 126 დღე 600 ლარამდე ანაზღაურდება, შრომის კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 183 კალენდარული დღე 1000 ლარამდე ოდენობით იქნება ანაზღაურებული.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# NDI-ს გამოკითხვის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია

**ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა წინასაარჩევნოდ კიდევ ერთი კვლევა გამოაქვეყნა. როგორც გვამცნეს, საველე სამუშაოები 18 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე ტარდებოდა და ინტერვიუს წესით, სულ 3 838 რესპონდენტი გამოიკითხა. მართალია, მოულოდნელი კვლევის შედეგებში არაფერი ყოფილა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია მაინც აშკარად გამოიკვეთა.**

მანამდე კი პიროვნული რეიტინგები ასეთია: პატრიარქი ილია მეორე 94%-ს, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 69%-ს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი 60%-ს, კოალიცია „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი კი 56%-ს მოსწონს. კოალიციის კანდიდატი, რომელსაც არჩევნების ლიდერად მოიაზრებენ, ქვეყანაში პოპულარობით მხოლოდ მეოთხე ადგილზეა, თუმცა როგორც ამავე წლის ივნისში ჩატარებული კვლევიდან ჩანს, მისი რეიტინგი მზარდია: ივანიშვილი ივნის-სექტემბერში ხალხის 69%-ს სტაბილურად მოსწონს, უსუფაშვილის რეიტინგი ერთი პროცენტით გაიზარდა, მარგველაშვილს კი ნდობის მაჩვენებელი 56%-მდე, ანუ მთელი 11%-ით აქვს აწეული.

სტაბილურია ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიის რეიტინგიც: ოპოზიციიდან ყველაზე მოწონებადი ფიგურა დავით ბაქრაძეა 49%-ით, შემდეგ — გიორგი თარგამაძე 36%-ით, სალომე ზურაბიშვილი და შალვა ნათელაშვილი 34-34%-ით და ნინო ბურჯანაძე 33%-ით. გამოკითხულთა 42%-ს ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად ნაციონალები მიაჩნია, მეორე ადგილზე კი, საკმაოდ დიდი სხვაობით, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობაა“, რომელსაც მხოლოდ 8% აქვს. გამოკითხვის სწორედ ამ ნაწილში დაფიქსირდა გამაოგნებელი შედეგი, რომლის მიხედვით, ხალხის 5%-ს „ოცნების“ ხელისუფლება ისევ ოპოზიციაში ჰგონია და მას ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად ასახელებს! რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებს — გიორგი მარგველაშვილი 39%-ით ლიდერობს, მას მოჰყვება დავით ბაქრაძე 18%-ით, შემდეგ ნინო ბურჯანაძე, რომელსაც 7% აქვს, შემდეგი კი შალვა ნათელაშვილი და გიორგი თარგამაძეა 3-3%-ით. ისიც საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 16% თავის არჩევანს არ ამხელს. მინისტრების მუშაობის შეფასებაში ლიდერობს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია 11%-ით, მეორე ადგილს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იკავებს, მესამე ადგილზეა თეა წულუკიანი, შემდეგ მაია ფანჯიკიძე და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. ყველაზე დაბალი რეიტინგი მინისტრთა კაბინეტში რეინტეგრაციის მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, დევნილების მინისტრ დავით დარახველიძესა და გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძეს აღმოაჩნდათ.

საზოგადოებრივი აზრის კვლევისას გამოკვეთილ რამდენიმე საინტერესო ტენდენციაზე მოსაზრება ექსპერტს პოლიტიკურ საკითხებში, **სოსო ცინცაძეს** ვკითხეთ, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების 25 სექტემბრის ისტორიულ შეხვედრაზე არ გამოჩენილა:

**— ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად მარგველაშვილს გამოკითხულთა 39%, ბაქრაძეს კი 18% ისურვებდა. 16% პასუხისგან თავს იკავებს. არის თუ არა მეორე ტური გარდაუვალი და ვის აქვს „თავშეკავებულების“ მხარდაჭერის შანსი?**

— ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ გარკვეული ძალები, ვთქვათ, უცხოელები და ამ გამოკითხვის დამფინანსებლები, დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლით ძალიან დაინტერესებულნი არიან. ლოგიკურად, საპარლამენტო უმრავლესობას მეორე ტური არ უნდა აწყობდეს, თუ მასში ბაქრაძე-მარგველაშვილი არ იბრძოლებენ. ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა და მისი მეორე ტურში მონაწილეობა კი პარლამენტის არსებულ შემადგენლობას ამართლებს: 60% „ოცნებას“ აქვს, 40 — ნაციონალებს, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილებს საპრეზიდენტო არჩევნებშიც სწორედ ოცნება-ნაციონალების კანდიდატები ინაწილებენ. არჩევნების გაუყალბებლად ჩატარების შემთხვევაში, მეორე ტური, ვფიქრობ, უნდა დაინიშნოს. თუმცა კოალიციის „ბროლის ოცნება“ ისაა, მარგველაშვილი პირველივე ტურში გავიდეს, თან სოლიდური უპირატესობით. ეს რთული იქნება იმის მიუხედავად, რომ ამ არჩევნების დროშა და სიმბოლო კვლავ ბიძინა ივანიშვილია — ბოლო-ბოლო, სააკაშვილი დაამარცხა და ბურჯანაძე-ბაქრაძე ვერ უნდა დაამარცხოს?

**— კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი ისაა, რომ გამოკითხულთა 5%-ს, რაც არცთუ ცოტაა, „ოცნება“ დღესაც ოპოზიციაში ჰგონია. ამას რა ახსნას უძებნით?**

— სწორედ აქ ჩანს ჩვენი საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურა. ეს საოცრებაა, უფრო სწორად, ტრაგედია — ეს შეიძლება, აფრიკის რომელიმე ტომში მოხდეს, უფრო სწორად, იქაც აღარ ხდება, უკვე იმათაც გაგვისწრეს — აბა, შეიძლება, ერთი წელი გავიდეს და ხელისუფლება ვინმეს კიდევ ოპოზიციაში ეგონოს?! ასეთ პირობებში გამორიცხული აღარაფერია!

## „არანაირი სავაჭრო ურთიერთობა საქართველოს ერთი გოჯი მიწის ფასად არ ღირს“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეცვლილა, თუმცა დარწმუნებულია, რომ მოვა დროს და ის თავის პოლიტიკას გადააფასებს.

**„სამწუხაროა, რომ ეს პროცესი ასე მწვავედ მიმდინარეობს. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ სავაჭრო ურთიერთობები ვითარდება, თუმცა არანაირი სავაჭრო ურთიერთობა არ ღირს საქართველოს ერთი გოჯი მიწის ფასადაც კი. აქედან გამომდინარე, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს დროებითი იქნება. ასევე, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი გადააფასებს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს მიმართ“,** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

*„პირველი“*



# ვის ინტერესებს შეეწირა ბიზნესმენი გელა მიქაძე, რა მასალები დამალა ბრალდებამ და „რაკიინ დეველოპმენტის“ საქმის რა ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს ადვოკატი „ვერსიას“?

*მე-9 გვერდიდან*

**„გელა მიქაძე ჯერ კიდევ 2013 წლის აპრილში დაიბარეს გამომძიებელთან, სადაც დროულად გამოცხადდა და ჩვენება მისცა. 12-საათიანი დაკითხვის შემდეგ, გამომძიებელს შეუთანხმდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოში დროულად გამოცხადდებოდა. გელა მიქაძემ გამომძიებელს ისიც კი უთხრა, რომ საქმის გამო, საზღვარგარეთ გამგზავრება ხშირად უწევდა და საგამოძიებო ორგანოში პირადი ტელეფონის ნომერი დატოვა, რათა საჭიროების შემთხვევაში, უპრობლემოდ დაკავშირებოდნენ. 2013 წლის 9 ივნისს, ერთ-ერთი გამოძახების დროს, გელა მიქაძე დააკავეს, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ სასამართლოს განჩინება, რის საფუძველზეც მიქაძე უნდა დაეკავებინათ, არ არსებობდა. ბრალდების მხარემ ვერ ახსნა, რატომ დააკავეს გელა მიქაძე, რადგან ეს უკანასკნელი გამომძიებელს არ ემალებოდა და არც მისი დაპატიმრების იურიდიული საფუძველი არსებობდა. ამდენად, ვაცხადებ, რომ ბრალდებამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნა დაარღვია. ბრალდების კიდევ ერთი საოცრება ის არის, რომ ოფიციალურ დადგენილებაში, ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, ნოტარიულად დამოწმებული აქტებისა და დოქტორი ხატერ მასადის მინდობილობების არსებობა მითითებული არ არის. დადგენილებაში მხოლოდ ის წერია, თითქოს გელა მიქაძემ, როგორც კომპანიების დირექტორმა, ბოროტად ისარგებლა თავისი პოზიციით და მიითვისა წილი, რომელიც სხვა კომპანიებს გადაუფორმა. ფაქტობრივად, ბრალდებამ საქმის ის ნაწილი დამალა, რომლითაც გელა მიქაძის უდანაშაულობა დასტურდება. გელა მიქაძეს, რომელიც 9 ივნისს დააკავეს, 24 ივლისს პატიმრობა ორი თვით გაუგრძელეს, სექტემბერში კი სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომლითაც პატიმრობა 2013 წლის 7 ნოემბრამდე გაგრძელდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბრალდების მხარეს, გელა მიქაძის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ აქვს“.**

სოსო ბარათაშვილის თქმით, კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც გელა მიქაძეს ბრალდებამ სექტემბერში დაუმატა, მთაწმინდის პარკს უკავშირდება. თავის დროზე, თბილისის მერიას, პატარკაციშვილების ოჯახის საკუთრებაში არსებულ „თბილისის პარკსა“ და რას ალ ხაიმას შეიხის მიერ დაარსებულ კომპანია „ემიუზმენტ პარკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, „თბილისის პარკს“, „ემიუზმენტ პარკისთვის“ 12 000 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა: **„ამ ეპიზოდში ბრალდებას ყურადღების მიღმა დარჩა ერთი ფაქტი. 2011 წლის 4 მარტს, „ემიუზმენტ პარკის“ დამფუძნებელ „რახილ დველოპმენტსა“ და გელა მიქაძის დაარსებულ „ბესტფორდ დეველოპმენტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც მთაწმინდის პარკის გასხვისებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდებოდა. ამ ხელშეკრულებით, „ბესტფორდ დეველოპმენტს“ უნდა მოეძებნა მხარე, რომელიც „რახილ დეველოპმენტისგან“ მთაწმინდის პარკს შეიძენდა. ამ შემთხვევაში, „ბესტფორდ დეველოპმენტმა“ მოძებნა „თბილისის პარკი“ და გააფორმა ხელშეკრულება. 12 000 000 აშშ დოლარის ნაცვლად კი, „თბილისის პარკმა“ მხოლოდ 6 000 000 აშშ დოლარი გადარიცხა. ბრალდება აგებულია იმაზე, რატომ არ მიიღო 6 000 000 აშშ დოლარი „რაკიინ დეველოპმენტმა“ მთლიანად, მაგრამ იმიტომ ვერ მიიღო, რომ „თბილისის პარკმა“ მეტი არ გადაიხადა. როგორც კი დარჩენილ თანხას გადაიხდის, „რაკიინ დეველოპმენტი“ თანხას სრულად მიიღებს“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, ვინ და რატომ ებრძვის ბიზნესმენ გელა მიქაძეს, რომელიც მტკიცებულებების გარეშე დააპატიმრეს, უკავშირდება თუ არა მთაწმინდის პარკის გასხვისების ეპიზოდი თბილისის მერს გიგი უგულავას, რომელმაც „ქართულ ოცნებასთან“ კოჰაბიტაციის ფონზე, განტევების ვაცი — გელა მიქაძე მოძებნა, სოსო ბარათაშვილმა გვიპასუხა: **„უფლება არ მაქვს, ექსპერტის ან პოლიტიკოსის პოზიციიდან გესაუბროთ. ჩემი კომპეტენცია წმინდა სამართლებრივი საკითხების ანალიზია. საქმის მასალებში გიგი უგულავა არც ერთ ეპიზოდში არ ფიგურირებს, მაგრამ რაც შეეხება ბრალდების უსაფუძვლობას, ეს აშკარად ჩანს. ფაქტობრივად, იგი ერთადერთი ადამიანია, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე პატიმრობაში იმყოფება.**

> **როდესაც პროკურატურას საფუძველი არ გააჩნია და განუწყვეტლივ აგრძელებს ვადას, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ სურვილი აქვთ, გელა მიქაძეს ბიზნესი წაართვან. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საჩივარი უკვე გავგზავნეთ, რადგან დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.**

**გელა მიქაძეს თავდებში არაერთი გამოჩენილი ადამიანი დაუდგა, მათ შორის, ანზორ ერქომაიშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, მანანა როდონაია, კოტე ჯანდიერი, ზაზა შათირიშვილი, თამაზ ხუციშვილი, ვალერი ასათიანი, ნოდარ მგალობლიშვილი, ლევან ლაღიძე, ნანული სარაჯიშვილი, ჯანსუღ და ელისაბედ ბაგრატიონები, თამარ ჩიქოვანი, გურანდა გაბუნია, მარიამ მეღვინეთუხუცესი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, მაგრამ სასამართლოზე ამ ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მეტიც, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ რას ალ ხაიმას ემირმა, ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისგან წინასწარი დაპირება მიიღო. ვფიქრობ, გელა მიქაძის პატიმრობა შემთხვევითი არ არის, ბიზნესმენი იმიტომ დააკავეს, რომ არაბი ინვესტორების ინტერესები დაიცვან, სინამდვილეში კი, ქართველი ბიზნესმენის უფლებები შელახეს“.**

# „რეგიონებში ქართული ოცნება აღარ არსებობს და ეს რეალობაა!“

## „სამართლიანი არჩევნების“ მონიტორინგის სკანდალური დასკვნა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 3 აგვისტომდე, საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში 55 გამგებელი და საკრებულოს 31 თავმჯდომარე შეიცვალა. როგორც ორგანიზაციის მიერ მომზადებულ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ მუნიციპალიტეტებში განვითარებული მოვლენების მონიტორინგის მეოთხე, შემაჯამებელ ანგარიშშია ნათქვამი, 69 მუნიციპალიტეტიდან 55 გამგეობასა და 26 საკრებულოში სხვა ტიპის საკადრო ცვლილებებიც განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც, 2 321 თანამშრომელი გათავისუფლდა.**

**„2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს მასშტაბით გამგებელი 55 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, მათ შორის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არაერთგზის. გამგებლების შესარჩევად კონკურსი მხოლოდ 19 მუნიციპალიტეტში გამოცხადდა, სხვა შემთხვევაში კი, ისინი საკრებულომ, დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში გამგებლების ცვლილებების მეორე ტალღა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნების შემდგომ დანიშნული ახალი გამგებლების იმპიჩმენტის პროცედურები არაერთ მუნიციპალიტეტში გაიმართა, ადგილი ჰქონდა იძულებასაც. 3 აგვისტოს შემდგომ, ანგარიშის გამოქვეყნებამდე, გამგებელი კიდევ 13, საკრებულოს თავმჯდომარე სამ მუნიციპალიტეტში, ხოლო მერი ორ ქალაქში შეიცვალა“,** — აცხადებს „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი **ნინო ლომჯარია**. მისივე განმარტებით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 3 აგვისტომდე საკრებულოს თავმჯდომარე 31 მუნიციპალიტეტში შეიცვალა, საკრებულოს 26-მა თავმჯდომარემ საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა პოსტი, ხოლო ექვსი მათგანი საკრებულომ გადააყენა: **„2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ 55 მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქციები, რამაც რიგ შემთხვევაში, ძალთა ბალანსის შეცვლა და ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბება გამოიწვია“.**

„სამართლიანმა არჩევნებმა“ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე საშტატო ცვლილებებიც შეისწავლა. 69 მუნიციპალიტეტიდან საკადრო ცვლილებები 55 გამგეობასა და 26 საკრებულოში განხორციელდა. თვითმმართველობებიდან მოპოვებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე გათავისუფლებულია 2321 თანამშრომელი; მათ შორის, მასობრივად გათავისუფლდნენ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები, რასაც ხშირად გამგებელთან თათბირი უძღვოდა წინ. საერთო ჯამში, 34 მუნიციპალიტეტში დათხოვილ იქნა 519 რწმუნებული.

**„გათავისუფლებულ პირთა უმრავლესობამ განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა. ხშირად ათეულობით თანამშრომელს გათავისუფლების თაობაზე განცხადება ერთსა და იმავე დღეს აქვს დაწერილი, რაც აჩენს ლოგიკურ ეჭვს მათი გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითობასთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევებში, დათხოვილი საჯარო მოხელეები ადასტურებენ, რომ გათავისუფლება ზემდგომმა პირებმა მოსთხოვეს, თუმცა უმეტესობა, ფაქტის საჯაროდ აღიარებისგან თავს იკავებს“,** — განმარტავს ლომჯარია.

ანგარიშში წარმოდგენილია სამართლებრივი დევნის 23 შემთხვევაც: გამოძიება, ძირითადად, საბიუჯეტო რესურსებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციით მიმდინარეობს. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ შექმნილი ვითარება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების აუცილებლობას. რეფორმამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს თვითმმართველობის რეალური დამოუკიდებლობა და ჩაურევლობა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში.

„ვერსიასთან“ საუბრისას, უფლებადამცველთა გაერთიანების ლიდერი **ნიკოლოზ მჟავანაძე** აცხადებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში პროცესები, მათ შორის გამგებლების გადაყენება, სრულიად უკანონოდ ხდება. მისივე თქმით, უწყებათაშორისი კომისია ბუტაფორიაა და მისი გადაწყვეტილებები ადგილზე საერთოდ არ სრულდება:

**„პირადად გახლდით ლენტეხში, სადაც არსებული ვითარება უშუალოდ შევისწავლე. კანონიერად დანიშნული გამგებელი იმის გამო გადააყენეს, რომ მან ნაციონალების მმართველობისას არსებული კორუფციული სქემების გაშიფვრა დაიწყო. ამასთან, მისი მოცილება, მთელი რიგი პროცედურების დარღვევით ხდებოდა. ბიუროზე გამგებლის გადაყენების გადაწყვეტილება არ გასულა, ისე დაისვა საკრებულოს სხდომაზე საკითხი, არაუფლებამოსილი პირის მიერ, არც ხმები დათვლილა და არც ოქმი შედგენილა; თან უწყებათაშორისი კომისიის დასკვნაც იყო და არ შეიძლებოდა არჩევნების წინ გამგებლის გადაყენება. იქ სისხლის სამართლის დანაშაულიც იკვეთება, რადგან გარკვეული დოკუმენტები გაყალბდა, ამის საფუძველზე თანხები ჩამოიწერა და ა.შ. ამიტომ ეს ხალხი რამდენი ხანია ლენტეხში შიმშილობს და ხელისუფლებიდან მათ ყურადღებას აბსოლუტურად არავინ აქცევს, ასეთი დამოკიდებულება კი გაუგებარია. იგივე პროცესები ხდება ბოლნისში“.**

მჟავანაძის თქმით, რეალურად, ასეთი პოლიტიკის შედეგია, ადგილებზე ნაციონალები იბრუნებენ ადრინდელ პოზიციებს: **„ადრე, ადგილობრივი თვითმმართველობა და ძალოვნები ფულს ერთად ჭამდნენ, ახლაც არ აწყობთ, რაიონში პირველ პირად უცხო ადამიანი იყოს. ამიტომ, სხვადასხვა ზემოქმედებით, რაშიც ოცნებიდანაც გარიგებული ხალხია ჩართული, ეს ხალხი ძველ ძალაუფლებას იბრუნებს. ხოლო ვინც რეჟიმს ებრძოდა, მათ უკანონოდ ათავისუფლებენ. ეს ხალხი გაგიჟებულია და არ იცის, ვის მიმართოს საკუთარი ინტერესების დასაცავად. ჩვენ ვიბრძოდით, რაღაც შედეგს მივაღწიეთ, ახლა კი გამგებლების იმპიჩმენტი და დანიშვნები ისე ხორციელდება, ჩვენ არაფერს გვეკითხებიანო. ამ დროს, უწყებათაშორისო კომისია სუფთა ბუტაფორიაა. პირადად მივმართე თეა წულუკიანს, რომ ამ კუთხით ღონისძიებები გაეტარებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადამიანი უუნაროა. თუ ასე არ არის, ერთი, მისი გაკეთებული საქმე მანახეთ... ეს ყოველივე, ხალხში დიდ აგრესიას იწვევს. თუკი ადგილებზე კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა არ მოხდა, ეს ხალხი უკიდურეს ზომებს მიმართავს. უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე სულ ნაციონალები საუბრობენ თვითმმართველობებში მათ მიმართ ზეწოლაზე, ამ დროს კი, „ოცნების“ წარმომადგენლების შევიწროებაზე ხმისამომღები არავინაა; თან იცით, რომ რეალურად, უმრავლესობაში სულ ნაციონალები არიან და ამის გამო, რაიონებში მოქმედ ხელისუფლებას მხარს აღარ უჭერენ. ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ პარტიული სისტემა ყველგან მოშლილია. რეგიონებში ქართული ოცნება აღარ არსებობს და ეს რეალობაა. არავის საქმეში არ ვერევი, ვისაც როგორც სურს, ისე ააწყოს თავისი პარტიული სქემა, მაგრამ თავად ბიძინა ივანიშვილი ხელს უწყობს საკუთარი პარტიის მსხვრევას. კაცი ამბობს, ზოგან ნაციონალები იქნებიან, სხვაგან „ოცნებაო“... ეს რას ნიშნავს? როცა სათავეში ხარ, დამნაშავე პარტიას ადგილი რატომ უნდა დაუთმო? 28 უკანონო ფაილი იქნა აღმოჩენილი და ნებისმიერ ევროპულ, ცივილიზებულ ქვეყანაში, ასეთი პარტიის აკრძალვის საკითხი დადგებოდა, აქ კი მასთან ხელისუფლების გაყოფაზე საუბრობენ. რეალურად, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ნაციონალებს უთმობს, ხალხი კი გაოგნებულია და კითხვებზე პასუხს ვერ პოულობს“.**

ფაქტია, რომ გასულის წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში სრული ქაოსი დაიწყო. პოლიტიკური კოჰაბიტაცია კიდევ უფრო უდღეური რეგიონებში აღმოჩნდა, ამიტომ გამოსავალი ცენტრალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუციების მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და სიძლიერეშია. პარტიები მოდიან და მიდიან, პროფესიონალები კი ამ მუდმივ კინკლაობას არ უნდა გადაყვნენ. დროა, ამ სფეროშიც მოჯადოებულ წრეს თავი დავაღწიოთ.



## ათონის მთაზე, 80-წლიანი პაუზის შემდეგ, უწყვეტი ქართული წირვა-ლოცვა აღდგა

ათონის წმიდა მთაზე, 80-წლიანი პაუზის შემდეგ, უწყვეტი ქართული წირვა-ლოცვა აღდგა, — ამის შესახებ ინფორმაციას ათონის წმიდა მთის წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის სახელობის მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერი, მამა ერმოლაოსი (ჭეჟია) ავრცელებს.

მამა ერმოლაოსის ინფორმაციით, ამა წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, სიმონოპეტრას მონასტრის კუთვნილ წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სენაკში ოთხმა ქართველმა ბერმა დაიდო ბინა და უწყვეტი ღვთისმსახურება დაიწყო.

**„მეგობრებო, ეს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა! უკანასკნელად უწყვეტი წირვა-ლოცვა ქართველი ბერების მიერ აღესრულებოდა პანტელეიმონის მონასტრის კუთვნილ წმ. სტეფანეს სახ. სენაკში, სადაც 1919 წელს ივერონის მონასტრის სენაკიდან გამოყრილმა 17 ქართველმა შეაფარა თავი. სამწუხაროდ, 1932 წლის 4 სექტემბერს (ძვ, სტილით) ამ სენაკს ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც რამდენიმე ბერი იმსხვერპლა, სრულიად დაიწვა ბიბლიოთეკა და არქივი. მას შემდეგ ათონზე ქართულ ენაზე უწყვეტი წირვა-ლოცვა ბერებს აღარ აღუვლენიათ. გილოცავთ, ჩემო მეგობრებო, ვულოცავ მთელ საქართველოს ამ დიად მოვლენას და ყველას გთხოვთ, ვილოცოთ ერთად ახალ ქართულ სავანეში მოღვაწე ბერებისთვის: წინამძღვარი - არქიმანდრიტი გრიგოლი, საძმო: მღვდელმონაზონი ეგნატე, ბერი მალაქია და მორჩილი დავითი“,** — ნათქვამია მამა ერმალიოსის მიერ გავრცელებულ წერილში.

***Taimer.ge***

## „ე.წ. საზღვრის გადმოწევის ფაქტები საერთაშორისო საზოგადოებისთვის ტრაგედიაა“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „საზღვრის“ გადმოწევის ფაქტები საერთაშორისო საზოგადოებისთვის ტრაგედიაა.

**„ჩვენ ახლა სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ვიმყოფებით იმ სოფლიდან, სადაც ბოლო დღეების განმავლობაში, რუსი „მესაზღვრეების“ მიერ ე.წ. საზღვრის „სადემარკაციო“ სამუშაოები მიმდინარეობს. ეს არის ტრაგედია მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ეს არის ტრაგედია ქართველი ხალხისთვის, რადგან ადამიანები ვერ ახერხებენ საკუთარ სოფლებში თავისუფლად გადაადგილებას, ვერ შედიან საკუთარ სახლებში, ბაღებში. საერთაშორისო საზოგადოება ადრეც მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ახლაც ასეა“,** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

***„პირველი“***

# საცხოვრებელ კომპლექსში „m² იპოდრომთან“ უკვე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს

## დეველოპერული კომპანიის ცნობილ საცხოვრებელ კომპლექსში ბინების 76% გაყიდულია

**„ხარისხიანად“ — ამ სიტყვის მნიშვნელობას სრულფასოვნად მაშინ მიხვდებით, როცა ნახავთ დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონების“ მიერ უკვე დასრულებულ და გარემონტებულ ბინებს. პირადად მე, უკვე ვნახე — „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთ კორპუსში, 55 კვ/მეტრიანი ბინა, ე.წ. შოურუმის მოწყობით დაგვიმტკიცეს, როგორი კომფორტი შეიძლება შეიქმნა „m²“-ის მიერ აშენებულ-გარემონტებულ ბინაში.**

**„m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის კორპუსების გადახურვა უკვე დასრულებულია და ახლა ბინების რემონტი მიმდინარეობს. 170 ბინაში შიდასარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულდა. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ „m² იპოდრომთან“ ბინების გაყიდვაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მით უმეტეს, რომ აქ ბინის შეძენის მსურველთათვის, მოქმედებს შიდაგანვადება, რომლის სარგებლობის შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 25%-ს. განვადების ვადა 2014 წლის სექტემბრამდე ანუ კომპლექსის დასრულებამდე გრძელდება, უზრუნველყოფას კი მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს.**

**„m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 2012 წლის 2 აპრილს დაიწყო. კომპლექსის საერთო სამშენებლო ფართი 63,247 კვ/მეტრია. ამ ფონზე, შეიძლება ბევრს გაუჩნდეს კითხვა — არსებობს თუ არა გარანტია, რომ საცხოვრებელი კომპლექსი ხარისხის მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, რადგან ჰოლანდიის განვითარების ბანკის (FMO) მოხოვნით, მშენებლობის მონიტორინგს ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია „აეკომი“ (www.aecom.com) ახორციელებს. ეს ნიშნავს, რომ მშენებლობა მიმდინარეობს ხარისხისა და ვადების მკაცრი კონტროლის ქვეშ. კომპლექსის მშენებლობისა და რემონტისთვის გამოიყენება მხოლოდ მაღალი ხარისხის მასალები.**

**რატომ უნდა გააკეთოთ არჩევანი აუცილებლად „m²“-ის მიერ აშენებულ საცხოვრებელ კომპლექსზე და დამატებით, რას სთავაზობს მომხმარებელს კომპანია? კითხვებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მსურველებს, ასევე კომფორტის მოყვარულებს შეიძლება გაუჩნდეთ, „m² უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდილაძე უპასუხებს.**

— „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის 9 კორპუსიდან, ცხრავე უკვე აშენებული და გადახურულია. ეს გვაძლევს საშუალებას, ვადაზე ადრე დავიწყოთ ბინების სარემონტო სამუშაოები. უკვე 170 ბინაში რემონტი მიმდინარეობს. ამ შოურუმში კი წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვა, როგორ შეიძლება უკვე გარემონტებული ბინის მოწყობა ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

**— „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსში, ძირითადად, რა ფართის ბინებია?**

— ყველაზე პატარა ბინა 47 კვ/მ-ია. ბინების უმრავლესობა 1 ან 2-საძინებლიანია, თუმცა განსხვავდებიან ფართის მიხედვით. კომპლექსში ასევე წარმოდგენილია პენტჰაუზები, განლაგებული კორპუსების ბოლო 2 სართულზე. ასევე პროექტში არის შუა სართულების დუპლექსები, არსებობს ბინების გაერთიანების საშუალება სასურველი ფართის მისაღებად.

**— ამ კომპლექსში რამდენი ბინაა გაყიდული?**

— 76% უკვე გაყიდულია.

**— ყველა ბინას გარემონტებულს აბარებთ?**

— დიახ. რაც შეეხება გასაყიდ ბინებს, ჩვენი არქიტექტორების გემოვნებით გავარემონტებთ და მერწმუნეთ, ყველა ძალიან ლამაზი და კომფორტული იქნება.

**— ჩანს, ბინის გარემონტებაში კლიენტი აქტიურადაა ჩართული. ეს კი, სამშენებლო კომპანიებისთვის ხშირად ზედმეტი თავისტკივილია. თქვენ რატომ სთავაზობთ მომხმარებელს ბინებს დასრულებული რემონტით?**

— გეთანხმებით, კომპანიები ბინის გარემონტებას კლიენტს იშვიათად სთავაზობენ, რადგან ეს დეველოპერისთვის, მართლაც, თავისტკივილია. ჩვენი კომპანია, მომხმარებლის ინტერესზე ორიენტირებულია. გარემონტებული ბინის ჩაბარება, კლიენტისთვის უზარმაზარი კომფორტია. ჯერ ერთი, მობინადრეები თითქმის ერთდროულად გადმოვლენ საცხოვრებლად და არ მოუწევთ გვერდით ბინაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისგან გამოწვეული დისკომფორტისა და ხმაურის ატანა. მეორეც, კლიენტი საკმაოდ დიდ თანხას ზოგავს — ასეთი ხარისხის რემონტის ინდივიდუალურად გაკეთება ორჯერ ძვირი დაჯდება. სარემონტო სამუშაოების დროს, კლიენტი თავად აკეთებს არჩევანს, მაგალითად, ჩვენს მიერ შეთავაზებული კარის რამდენიმე ვარიანტიდან, რომელი გამოიყენოს. გვაქვს ლამინატის 20 ნიმუში, ფერების პალიტრა საკმაოდ დიდია... კლიენტს ასევე ვთავაზობთ კაფელისა და მეტლახის არჩევანს... კომპლექსის ჩაბარების შემდეგ კი — ქონების მართვის მომსახურებას. ანუ ყოველთვიურად გონივრული გადასახადის სანაცვლოდ, ჩვენი მობინადრეები მიიღებენ შემდეგი სახის სერვისებს: 24-საათიანი უსაფრთხოება, გამწვანების მოვლა, ლიფტების, სადარბაზოებისა და ეზოს დასუფთავება.

**— „m² იპოდრომში“ არც ისე ბევრი გასაყიდი ბინა დარჩა. პარალელურად, სხვა პროექტებსაც ახორციელებთ?**

— რა თქმა უნდა და ინტერესი დიდია. არსებობს პოტენციური მყიდველების ვრცელი სია, ვინც ელოდება გაყიდვების დაწყებას სხვა პროექტებში. სამშენებლო სამუშაოები დეკემბერში უნდა დავიწყოთ. პირველი ორი პროექტი იქნება: ყაზბეგის გამზირზე და მარიჯანისა და ნუცუბიძის ქუჩების კუთხეში. ორივე პროექტის დასრულებას 2 წელში ვგეგმავთ. ახალი პროექტების პრეზენტაცია უახლოეს მომავალში ჩატარდება.

*ნინო ლურსმანაშვილი*

# წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 6 | 1 | 7 | 5 | 4 | 9 | 8 |
| 4 | 1 | 5 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 7 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 6 |
| 6 | 4 | 2 | 8 | 5 | 7 | 1 | 3 | 9 |
| 1 | 8 | 9 | 3 | 6 | 4 | 2 | 5 | 7 |
| 5 | 7 | 8 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 2 |
| 3 | 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 8 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 | 5 |
| 7 | 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 5 | 7 |
| 5 | 4 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 3 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 4 | 2 |
| 2 | 7 | 4 | 5 | 6 | 1 | 8 | 9 | 3 |
| 8 | 6 | 3 | 9 | 7 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 1 | 5 | 9 | 8 | 4 | 3 | 2 | 7 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 | 4 |
| 8 | 7 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 3 | 4 | 2 | 8 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 5 | 1 | 9 | 7 | 2 | 6 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 9 | 6 | 2 | 7 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 1 | 5 | 7 | 3 | 4 | 8 |
| 7 | 8 | 5 | 2 | 3 | 4 | 1 | 6 | 9 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 4 | 9 | 1 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 3 | 9 | 7 | 6 | 8 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 1 | 5 | 6 | 3 | 4 | 7 | 2 | 9 | 8 |
| 9 | 7 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 | 8 | 2 |
| 5 | 2 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 3 | 5 | 7 |
| 7 | 3 | 5 | 8 | 2 | 9 | 4 | 6 | 1 |
| 8 | 1 | 2 | 4 | 5 | 6 | 9 | 7 | 3 |
| 4 | 6 | 9 | 7 | 3 | 1 | 8 | 2 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 4 | 1 | 3 | 9 |
| 5 | 3 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 |
| 4 | 2 | 5 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 3 | 1 | 7 | 6 | 4 | 5 | 9 | 2 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 1 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 1 | 4 | 9 | 7 | 3 | 8 | 2 |
| 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 | 5 |
| 8 | 4 | 9 | 2 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 |

### ეჭვჯერადი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 8 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 1 | 6 | 7 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 | 3 | 8 | 5 |
| 6 | 3 | 2 | 7 | 1 | 4 | 9 | 5 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 3 | 6 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 3 | 8 | 2 | 4 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 7 | 2 | 3 | 9 | 6 | 1 | 8 | 4 | 5 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 |
| 3 | 7 | 5 | 6 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 |

### ეჭვჯერადი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 1 | 5 | 8 | 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 |
| 6 | 3 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 2 | 6 |
| 7 | 2 | 5 | 8 | 4 | 9 | 6 | 1 | 3 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 4 | 6 | 9 | 7 | 1 | 3 | 2 | 5 | 8 |

მე-13 გვერდი: 1. დურუჯი; 2. ულტიმატუმი; 3. ურემია; 4. ბრაუნი; 5. რუსეთი; 6. ურანია; 7. მტრედი; 8. ოვალი; 9. იდიომი; 10. უსტარი; 11. ხრტილი; 12. ლორთქო; 13. თხილი; 14. ატა; 15. იდიში; 16. ირისი; 17. უნგრეთი; 18. ლავა; 19. გირაო; 20. ხორეშანი; 21. ოთხი; 22. ულუ; 23. ოლდ; 24. ამირანი; 25. იაგუარი; 26. სკალპი; 27. კატამარანი; 28. ლენდლი; 29. ქოლგა; 30. ემინემი; 31. ბრა; 32. ეტერნიტი; 33. ირანი; 34. გონიტი; 35. ბაბლუანი; 36. ბრერა; 37. ამელია; 38. ტუნდრა; 39. ლორი; 40. დეკა; 41. აწყური; 42. როტა; 43. ბერეტა; 44. მარანი; 45. ერი; 46. წყალბადი; 47. ინო; 48. დოში; 49. ლეი; 50. ათენა; 51. წრეწირი; 52. ალი; 53. იგუანა; 54. ყური; 55. აუგი; 56. არყა; 57. კენი; 58. იუნგა; 59. გული; 60. პირი; 61. რაველი; 62. ოდრი; 63. პრიმა; 64. ჭლექი; 65. „ფორდი“; 66. შევა; 67. ტანკა; 68. როდ; 69. ორგია; 70. ოჰარა; 71. შაში; 72. ჭიპი; 73. ჰოპლიტი; 74. ხვალ; 75. შალი; 76. დრეზინა; 77. კლიო; 78. სკოლა; 79. სოფია; 80. ლივ; 81. მიქოიანი; 82. ელდა; 83. აბი; 84. დიკა; 85. ჭოკი; 86. მააკლაი.



1. რეჟისორი სერიალისა „დათა თუთაშხია“
2. ფუფალას ვირტუალური სატრფო
3. ჰოლივუდის მსახიობი მია ...
4. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე
5. ხელოვნური საერთაშორისო ენა
6. სპირტიანი სასმელების მიღების სრული აღკვეთა
7. მიანმარის (ბირმის) უდიდესი მდინარე
8. გაცვეთილი, აქტუალობას მოკლებული იდეა
9. გარეული ფრინველი
10. ჰოლანდიელი მოგზაური და მკვლევარი
11. ქართველთა წარმართული ღვთაება
12. გეოდეზიური ხელსაწყო
13. ფეხბურთის სახელწოდება იტალიაში
14. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
15. იგივე მამითადი
16. ქალაქი ჩილეში
17. მექანიკის ნაწილი
18. თევზის ნახარშისგან მომზადებული წვნიანი
19. ვარდენის ქალიშვილი „უდიპლოლოსასიძოში“
20. ისტორიული ქალაქი პოლონეთში
21. ძვ. ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი
22. მექსიკის დროშაზე გამოსახული მცენარე
23. ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
24. შვიდი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
25. ატმოსფეროს მდგომარეობა მოცემ. ადგილსა და დროს
26. ბავშვთა სასრიალო მარხილი
27. ლაბორატორიული ჭურჭელი
28. ძაღლის ჯიში
29. ავსტრალიური სირაქლემა
30. გაზაფხულის ყვავილი
31. ავტო-მობილი ბავშვის ენაზე
32. გულის მოქმედების ციკლის ერთ-ერთი ფაზა
33. ბოსნიური წარმოშობის შვედი ფეხბურთელი
34. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
35. ქართველი რეპერი
36. აგენტი 007
37. „ბმვ“ ფირმის ავტომობილების ჟარგონული სახელწოდება
38. აკაკი წერეთლის პოემა
39. ქალაქში დაბრკოლებათა რაციონალური დაფარვის ხელოვნება
40. სახელი პეტრეს ქართული თარგმანი
41. ბატკნის მოგების დრო
42. ეგვიპტის კუთვნილი ნახევარკუნძული
43. ღამის ანტონიმი
44. ზევსის ფარი
45. ბოშათა თეატრი მოსკოვში
46. ეთიოპიისგან გამოყოფილი სახელწმიფო
47. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია
48. ალასკის აბორიგენი მცხოვრები
49. პირენეის ნახევარკუნძ. ლათინური სახელწოდება
50. აღმ. საქარ. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე
51. არჩევა-ნის საპა-სუხო სიტ-ყვა თამაშში
52. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
53. ხოხბის ბარტყი
54. ისტორიული სოფელი გარეკახეთში
55. სუსტი სპირტიანი სასმელი მადის მოსაყვანად
56. საგანთა ჩამონათვალი
57. შალის „კულულებიანი“ ქსოვილი
58. ყარაჩოხელთა სამდინარო ტრანსპორტი
59. ბიბლიური აბრაამის მამის სახელი
60. ფრანგი მწერალი
61. გიტარის მაგთული
62. ქართველ ქალთა თავსაბურავის კომპონენტი
63. ლ. დელიბის ბალეტი
64. იტალ. საფ. კლუბი
65. ალისას „ლიტერატურული მამა“
66. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში
67. ძვირფასი ქვა, იგივე იასპი
68. მუქი წითელი ფერის მინერალი
69. ისრაელის სპეცდაზ-ვერვის სააგენტო
70. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
71. ბრიტანელი მწერალი
72. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
73. დიდი ჩაქუჩი
74. აღმოსავლური ტრადიციული მუსიკალური ანსამბლების ინსტრუმენტი
75. კუნძულოვანი ქვეყანა წყნარ ოკეანეში
76. ისრაელის წარმოების ავტომატი
77. იგივეა, რაც სინდისი
78. ძალიან ბრაზიანი, აწრსლი
79. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
80. ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა
81. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება

# უსაქმურებს „ნასა“ ფულს უხდის

ვისაც ვერ წარმოუდგენია ცხოვრება დივანზე კოტრიალისა და ტელევიზორის გარეშე, ნამდვილად მოეწონებათ ფულის შოვნის ახალი ხერხი და თან მეცნიერებსაც დაეხმარებიან. ამერიკის კოსმოსური სააგენტო (ნასა), ადამიანის სხეულზე მიკროგრავიტაციის (ანუ უწონობის მდგომარეობის) გავლენის შესწავლის მიზნით, ეძებს მსურველებს, ვინც მზადაა, 70 დღე საწოლში ინებივროს და თან ამაში ყოველთვიურად 5 ათასი დოლარი მიიღოს. ეს პროექტი უკვე თითქმის 25 წელია მიმდინარეობს, მაგრამ პრაქტიკული ექსპერიმენტებისთვის ნასას კვლავ სჭირდება მოხალისეები. თუ მსურველები კოსმოსურ ცენტრში ამტანობის ტესტს წარმატებით გაივლიან, მერე შეუძლიათ 70 დღე ლოგინიდან აღარ ადგნენ. მათ საწოლში მიართმევენ არა მხოლოდ ყავას, არამედ საჭმელს, ნორმალური წონა რომ შეინარჩუნონ; მოხალისეებს ექნებათ სხვადასხვა გასართობი: ტელევიზორი, წიგნები, ინტერნეტი... თუმცა, შხაპის მიღებაც მწოლიარე პოზაში მოუწევთ. აღსანიშნავია, რომ მუდმივად წოლა ორგანიზმისთვის უკვალოდ არ ჩაივლის: გულის რიტმი და სუნთქვა ნელდება, სისხლის მიმოქცევა ძლიერდება სხეულის ზედა ნაწილში, იკლებს წონა, ფეხებზე სისხლძარღვები სუსტდება და შეიძლება ანემიაც განვითარდეს. გარდა ამისა, მიკროგრავიტაციის რეჟიმში ორგანიზმი 10-ჯერ მეტ კალციუმს კარგავს, ვიდრე ჩვეულებრივ, ოსტეოპოროზით დაავადებული ადამიანი, ამიტომ 70-დღიანი „დასვენების“ შემდეგ, მოხალისეებისთვის რეაბილიტაციის ორკვირიანი პროგრამაცაა გათვალისწინებული.

# ჰოროსკოპი 27 სექტემბერი

**ვერძი** — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ მდგომარეობაში ეგელასზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

**კურო** — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ არსებული კანონების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგს ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით, დღეს იმ საქმით დაკავდეთ, რაშიც ეჭვი გეპარებათ.

**ტყუპები** — შეეცადეთ, ბევრ საქმეს ერთდროულად არ მოედოთ — სჯობს, ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

**კირჩხიბი** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა დღეს, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ეური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

**ლომი** — ზუსტად უნდა განსაზღვროთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ეურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც დიდია.

**ქალწული** — საკუთარი ინსტინქტები უმართავს გხდით. ეურადღების კონცენტრირებას საქმეზე ვერ ახერხებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ დროებითია.

**სასწორი** — დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით. თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება ვერ შეძელით, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაშინ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ. თავს უკან დახევის უფლება არ მისცეთ.

**ღრიანცალი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენებთ, რისთვის იდგწით ასე გამალებით.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დილიდან საღამომდე ინებივრონ და ეოცველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი, საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

**თხის რქა** — დღეს რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ადვილი იქნება. ისე კი, თუ ეს არ მოხერხდება, თქვენ მაინც არაფერს დაკარგავთ.

**მერწყული** — მერწყულებს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ. მაგრამ თუ გადაწყვეტთ, საქმეში თქვენი იუმორის გრძნობა ჩართოთ, ამ საქციელს მომენტალურად ინანებენ არაკეთილმოსურნეები.

**თევზები** — ცხოვრება, როგორც ცნობილია, შავ-თეთრი ზოლებია. ამჯერად, ისეთ ზოლში მოხვდებით, რომელიც ცისარტყელას ყველა ფერითაა შეფერილი. ასე რომ, კარგ განთობასა და დასვენებას გისურვებთ.

# ბიზნესმენი ეგვიპტელ ფარაონს ბაძავს

შეძლებული მამაკაცი, რომელმაც ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწია, რაზეც კი ოცნებობდა, იმედოვნებს, რომ სიკვდილის შემდეგაც მისი სიმდიდრე მასთან დარჩება და უახლეს ავტომობილს, 450-ათას დოლარიან „ბენტლის“ მიწაში დამარხვას უპირებს. Facebook-ის გვერდზე 62 წლის ბრაზილიელმა მამაკაცმა დაწერა, რომ ეგვიპტელ ფარაონებს ბაძავს, რომლებსაც ფუფუნების საგნებთან ერთად კრძალავდნენ. „ბენტლის დასაფლავება“ ბიზმესმენის ბაღში იგეგმება. გრაფი სკარპა კი აცხადებს, რომ საამისოდ უკვე გათხრილი აქვს ორმო — სან-პაულუს ყველაზე ფეშენებელურ რაიონში მდებარე ვილაზე, რომელიც 14 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშენებული და სოციალურ ქსელში შესაბამის ფოტოსაც აქვეყნებს. სკარპა, რომელსაც ხარისხი აქვს ეკონომიკის სფეროში და შავი ქამრის მფლობელია აიკიდოში, აცხადებს, რომ „ბენტლის“ დამარხვის იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ტელევიზიით დოკუმენტური გადაცემა ნახა ძველ ეგვიპტეზე.

# ყველაზე წყნარი ადგილი მსოფლიოში

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე წყნარი ადგილი აშშ-ში, სამხრეთ მინეაპოლისში, ორფილდის ლაბორატორიაშია. ეს უჩვეულო ოთახი გარე ხმების 99,99%-ს ბლოკავს და ჯერ ვერავინ მოახერხა იქ 45 წუთზე მეტ ხანს გაჩერება. განსაკუთრებული სიჩუმისთვის რომ მიეღწიათ, ამ ოთახის მშენებლობისას მინაბოჭკოვანი აკუსტიკური პლატფორმები გამოიყენეს, რომლის სისქეც ერთ მეტრს შეადგენდა, ასევე ფოლადის ორმაგი კედლები. კომპანიის დამფუძნებელმა და მისმა პრეზიდენტმა სტივენ ორფილდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ზოგჯერ ისეთი სიჩუმეა ოთახში, საკუთარი გულისცემის ხმა მესმისო...

# საცოლეს ჭილჭოიდით ეძებს

ჩიკაგოელი წარმატებული ბიზნესმენი, 40 წლის გორდონ ინგლი მომავალ მეუღლეს სარეკლამო ბილბორდებით ეძებს, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშია განთავსებული. აბრებზე გორდონის ფოტოა წარწერით: მე გორდონი ვარ. მოდი, ვისადილოთ. იქვე ინგლის პირადი ვებგვერდიც მითითებულია და ნებისმიერ მანდილოსანს, რომელიც მარტოხელაა და სიყვარულს ეძებს, შეუძლია დაუკავშირდეს. უამრავი ფული განათლებაში დავხარჯე, ნახევარი მილიონი — სახლის შეძენისას, უფრო მეტი ავტომობილში, მაგრამ ეს ყველაფერი სიყვარულთან შედარებით არაფერია, — ამბობს ბიზნესმენი, რომელიც საცოლის ძიებისას დიდ მნიშვნელობას ქალის სულიერ სამყაროს ანიჭებს და ამბობს, რომ სასიამოვნო ღიმილისა და კარგი იუმორის მქონე ქალი მის გულს პირველივე პაემანზე მოინადირებს.

# „ა“-ვიტამინი სიმსივნეს აჩენს?

„ა“-ვიტამინი დიდი ხანია მედიკოსებისთვის ცნობილია, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელიც ორგანიზმს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში ეხმარება და ონკოლოგიური დაავადებებისგან გვიცავს. ამის მიუხედავად, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ „ა“-ვიტამინის შემცველი დანამატების მიღება სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა — ადამიანის ორგანიზმში ის გარდაიქმნება ორგანოების ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ბეტა-კაროტინად, რომელიც აქამდე მწეველებისთვის სასარგებლოდ მიიჩნეოდა. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის სპეციალისტებმა შეამოწმეს, რამდენადაა შესაძლებელი ბეტა-კაროტინის ბაზაზე საკვები დანამატის შექმნა, რომელიც ონკოდაავადებებს გაუმკლავდება, მაგრამ 8-წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნური სახით, ეს ვიტამინი სულ სხვაგვარად მოქმედებს ორგანიზმზე — კი არ ამცირებს, არამედ ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა რისკს. სპეციალისტები გვირჩევენ, დიდი დოზით არ მივიღოთ „ა“-ვიტამინის შემცველი კომპლექსები.

# ჰოროსკოპი 28 სექტემბერი

**ვერძი** — თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაბალ დონეზეა. არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი ურთიერთობის გაწყვეტამდე მიგიყვანთ.

**კურო** — შესაძლოა, ინტერესი გაგიჩნდეთ მისტიკის, ფილოსოფიისა და კლასიკური ლიტერატურისადმი. შესანიშნავი დღეა შემოქმედებისთვის. ნუ გაუშვებთ ინიციატივას ხელიდან. ახლობლებისგან კი დახმარების იმედი ნუ გექნებათ — ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთეთ.

**ტყუპები** — შესაძლოა, უსიამოვნო თავგადასავალი გადაგხდეთ. სავარაუდოა ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემებიც. მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, დაშორდებით ერთმანეთს თუ გააგრძელებთ ურთიერთობას.

**კირჩხიბი** — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ გვერდიდან დახმარებას ნუ დაელოდებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

**ლომი** — თავიდან ჩაფიქრებული რომანტიკული ურთიერთობა მამაკაც ლომებს გაიტაცებს და სიყვარულის ქსელში გახვევს, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ მალე, ეს აღფროთოვანება სასტიკი ეჭვიანობით შეიცვლება.

**ქალწული** — ქალწულებისთვის საშიში დღეა. სავარაუდოა მსხვილი ფინანსური დანაკარგი. სამსახურში უსიამოვნებას რომ თავი აარიდოთ, არავის გაანდოთ თქვენი გეგმები.

**სასწორი** — დღის პირველი ნახევარი უსიამოვნებებით აღინიშნება. შესაძლოა კონფლიქტი კოლეგებთან ან უფროსობასთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და მთელი ეურადღება სამუშაოზე გადაიტანეთ.

**ღრიანცალი** — ეურადღებით იყავით და ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სჯობს, დაიცადოთ. ვიდაც ისევ ცდილობს თქვენს ანერვიულებას. თავი აარიდეთ ათასგვარ ჭორს და კონფლიქტური ვითარების განხილვისას, უდანაშაულო ადამიანს ნუ გაკიცხავთ.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს დაძაბული დღე აქვთ. ამ ნიშნის წარმომადგენელ მამაკაცებს სკანდალი ან დიდი ხნის მეგობარ ქალთან ურთიერთობის გაწყვეტა ელით. წარმატებული დღეა მშვილდოსანი-ქალებისთვის. ვარსკვლავები მათ მოულოდნელ სიხარულს უქადის სასიყვარულო ურთიერთობებში.

**თხის რქა** — სავარაუდოა საყვარელ ადამიანთან ან ნათესავთან დაკავშირებული პრობლემები. საქმე, შესაძლოა, დიდ სკანდალამდე მივიდეს, ამიტომ ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, ჯერ შედეგებზე დაფიქრდით.

**მერწყული** — მერწყულებისთვის დღე ცხოვრებისეული იდეალებისა და პრინციპების დაცვას უკავშირდება. წარმატებული დღეა შემოქმედებით სფეროში დაკავებულებისთვის, რადგან მოულოდნელი წარმატება ელით. დღეს დიდსულოვნება უნდა გამოავლინოთ და შედარებით მეტი დრო დაუთმოთ პარტნიორს.

**თევზები** — თქვენთვის პასიური დღეა. არასასურველი პერიოდია სიახლეებისთვის, ცვლილებებისთვის, მოგზაურობისთვის. არ არის სასურველი ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება.

# სუდოკუ

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 9 | | 7 | | | | |
| | | | 6 | | 9 | | | 1 |
| | 5 | | | 1 | | | | |
| | 1 | | 3 | | 8 | 4 | | |
| | 4 | | | 2 | | | 1 | |
| | | 5 | 4 | | 1 | | 6 | |
| | | | | 8 | | | 2 | |
| 5 | | | 9 | | 4 | | | |
| | | | | 5 | | 8 | 3 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | 9 | | 7 | 5 | |
| | 5 | | | | | | | |
| | 4 | | | | 7 | 6 | | |
| 1 | | | | 5 | 8 | | 6 | 2 |
| | | | 9 | | 2 | | | |
| 4 | 2 | | 7 | 3 | | | | 5 |
| | | 7 | 2 | | | | 8 | |
| | | | | | | | 3 | |
| | 6 | 2 | | 8 | | | | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 2 | | | 5 | | | |
| 8 | 5 | | | | | | | 9 |
| | | | | | | 7 | | |
| | 4 | 5 | 8 | 7 | | 9 | 2 | |
| | 9 | | | | | | 8 | |
| | 8 | 6 | | 4 | 9 | 3 | 5 | |
| | | 8 | | | | | | |
| 6 | | | | | | | 3 | 8 |
| | | | 2 | | | 5 | | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | | 6 | | |
| | | | | | 3 | | 1 | 9 |
| 9 | | 4 | | | | 3 | | 8 |
| | | 7 | 8 | 5 | 4 | | 3 | |
| | | | | 2 | | | | |
| | 9 | | 7 | 3 | 6 | 5 | | |
| 1 | | 5 | | | | 7 | | 3 |
| 8 | 7 | | 3 | | | | | |
| | | 9 | | | 8 | | | |

# ჰოროსკოპი
## 29 სექტემბერი

**ვერძი** — ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების დადებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას. ეს უველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, უკვე გვიან იქნება.

**კურო** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ, დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიიყვანონ, თუმცა არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა.

**ტყუპები** — საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დანებებთ. დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ და ეჭვიც არ გეპარებათ, რომ თქვენს მოსაზრებას უურადღებას მიაქცევენ.

**კირჩხიბი** — იმ საქმეებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით. შესაძლოა, ემოციები ვერ მოთოკოთ თქვენთვის ძვირფას ადამიანთან.

**ლომი** — ვარსკვლავები დიდი ხნის ნაცვრის ასრულებას გპირდებიან. მხოლოდ ახლად გაცნობილ ადამიანებთან ფრთხილად იყავით — არის რისკი, ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ, თუმცა თქვენი ღიმილი და მომხიბვლელობა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა.

**ქალწული** — დღეს, პრაქტიკულად, უველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. აღღოს წყალობით, თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯებსა და უპერსპექტივო დაბანდებებს. დღეს სასურველი არ არის კონტაქტები სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

**სასწორი** — შეგიძლიათ სახლში, შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდნენ უველაფერს და სიამოვნებით მოგისმენენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ.

**ღრიანცელი** — სასიამოვნო საუბრები გელით მეგობრებთან ან ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ახალ ნაცნობებთან სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი** — კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემომყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე გონებრივი სამუშაოსთვის არის სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწევთ, მოგლენების ორომტრიალში თუ იოლად გერკვევით.

**მერწყული** — თუ ზუსტად იცით, რა უნდა გააკეთოთ, ამ საქმიანობის შედეგი აუცილებლად წარმატებული იქნება. შეგიძლიათ, ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ ან ახალ ნაცნობობაზე.

**თევზები** — თევზებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევთ, გარშემომყოფებს რომ დააჯერონ ის ინფორმაცია, რომელსაც თავად მიაწვდიან. ამასთან, რაც მეტ ენთუზიაზმს გამოიჩენთ და საკუთარ აზრს დაიცავთ, მით ნაკლები შანსი გექნებათ, წარმატებას მიაღწიოთ.

# ალკოჰოლიზმს ჭამით კურნავენ

პენსილვანიელი სწავლულების ახალი გამოკვლევის თანახმად, ზედმეტი კვება ადამიანს ფსიქოტროპული, ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან იხსნის. ამ აღმოჩენით, შესაძლოა, ადამიანი ნებისმიერი მავნე ჩვევისგან განიკურნოს. ალკოჰოლიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამოკიდებულებაა როგორც მამაკაცებში, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც. მკვლევარებმა ცდები მღრღნელებზე ჩაატარეს. თაგვები, რომელთაც ნარკოტიკს უკეთებდნენ, დიეტაზე დასვეს. პირველ ჯგუფს ნორმალურად კვებავდნენ, მეორეს მუდმივად შეეძლო ცხიმიანი საკვების მიღება, მესამე ჯგუფს კი ამის საშუალება კვირაში ერთხელ ჰქონდა, მეოთხე ჯგუფის წევრებს ამ მავნე საკვებს კვირაში სამჯერ აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება მეოთხე ჯგუფის მღრღნელებში შემცირდა, რამაც სწავლულებს დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: „რაციონალური“ ზედმეტი კვება, შესაძლოა, ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობის პროცესში წამლად იქცეს. უკონტროლო ჭამა კი, პირიქით, დამოკიდებულებას აძლიერებს.

# ვენის მეტროში კოცნა აკრძალეს

ავსტრიის დედაქალაქის ხელისუფლებამ მეტროში ამბორი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად აღიარა და გრძნობების დაუფარავად გამოხატვისთვის 50-ევროიანი ჯარიმა დააწესა. ასეთივე ჯარიმა ელის მეტროს ვაგონში ჰოთ-დოგების მოყვარულებს, ტელეფონზე კერძო საუბრები და მუსიკის ხმამაღალი მოსმენაც წესრიგის დარღვევად აღიარეს. ჯერ-ჯერობით, კოცნის აკრძალვა მხოლოდ მეტროპოლიტენზე ვრცელდება, თუმცა ზნეობის ამაღლებისთვის სამუშაოების მასშტაბი შიშს იწვევს. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ და როგორ განსაზღვრავს საკვების სუნის დასაშვებ დონეს, მუსიკის ხმას ან კერძო საუბრებს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სამუშაოებისთვის 300 ათასი ევრო გამოყო. მეტროს ხაზზე სპეციალურად „განსწავლული“ 200 კონტროლიორი იმოძრავებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე, რომელიც მგზავრებს ხელს უშლის, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, — აცხადებს ვენის მეტროპოლიტენის წარმომადგენელი.

# ყავა სიკვდილიანობას ამცირებს?

წყლის შემდეგ, ყველაზე მოხმარებადი სასმელი მსოფლიოში ყავაა, ამიტომაც ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები უამრავ ადამიანს დააინტერესებს. ექსპერიმენტი, რომელიც აშშ-ს ონკოლოგიურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერებმა ჩაატარეს, 13 წელი გრძელდებოდა და მასში 50-დან 71 წლის ასაკის, 400 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყავის მოხმარება სიკვდილიანობას 10%-ით ამცირებს და მამაკაცებთან შედარებით, ქალებში ეს მაჩვენებელი 15%-მდე იზრდება. ჩვენმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყავის მოყვარულებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, თუმცა ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მისთვის ამ სასმელის ხშირი მოხმარება სასურველი არ არის. ყავა ერთადერთი „ნარკოტიკია“, რომელიც ფსიქიკას არ არღვევს. ყავის ცუდი „რეპუტაცია“ ხშირად იმით არის განპირობებული, რომ ამ გამამხნევებელი სასმელის მოყვარულები ხშირად ეწევიან, სიკვდილიანობის ზრდას კი, რაც უფრო თამბაქოს უკავშირდება, ყავას მიაწერენ.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).